F75/2ა 13852

როლეტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდით

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ს. ს. ს.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ' დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე

ტელეფონი { 14—76. რედაქტორის. 10—58. მდივანის.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 30 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 40 კ. კოლექტ. ხელის მომწ. 80 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრე ათვის 90 კაპ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით მომპარვლის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან.ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 2 საათ·

დღიური

გერმანიის სასამართლომ ჰიტლერს მიუსაჯა 5 თვე, გენ. ლიუდენდორფი გაამართლა.

იტალიაში მოხდა სისხლიანი შეტაკება ფაშისტებს და სხვა პარტიების ამომრჩეველთა შორის.

ადიდებულმა ვისლამ წყლით დაფარა პოლონეთის რამოდენიმე ქალაქი და სოფელი.

ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა ყრილობამ პრეზიდენტს მიანიჭა უფლება 4 წლით.

ნეაპოლში (იტალია) პრეფექტურის შენობაში აფეთქდა ბომბა; მოკლულია ერთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 75 (930) ხუთშაბათი, 3 აპრილი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 75 (930)

ამიერ-კავკასიის სამეურნეო ბანკი

თბილისში დაარსდა და დღეს იწყებს თავის ოპერაციებს ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

ბანკის მიზანია მისცეს შესაფერი კრედიტი და გაუწიოს დახმარება ამიერ კავკასიის სასოფლო-მეურნეობას, ხელი შეუწყოს მის აღორძინებას და განვითარებას, ჩააყენოს ის ნორმალურ პირობებში და კალაპოტში, რომ სოფლის მეურნემ—ჩვენმა გლეხობამ იგრძნოს ახალი ხანა, რომ [illegible] ის თავისუფალი იქნება ჩარჩ-ვაჭრობის, წურბელების ბატონობისაგან, მძლავრად გაშლის თავის მადლიან მკლავებს, ჩარჩ-ვაჭრების უშუამავლოდ მიაწვდის მომხმარებელს თავის ნაწარმოებს და მიიღებს შესაფერ საფასურს.

სოფელმა უნდა იგრძნოს, რომ საბჭოთა ძალაუფლებამ მიაქცია მას განსაკუთრებული ყურადღება, გადასდო სახელმწიფო სალაროდან შესაფერი თანხები, შექმნა ახალი ორგანოები, რომ აყვავდეს სოფლის მეურნეობა, მიეცეს ფართო ბაზარი მის ნაწარმოებს და შეწყდეს ის სიმწვავე ეგრედ წოდებულ „მაკრატლის“ პირების დაშორებისა, რასაც ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით [illegible].

მრავალმხრივი და მრავალფეროვანია სოფლის მეურნეობა განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში, სადაც მცხოვრებთა 84 პროც. მუშაობს ამ დარგში და მათი ცხოვრების უმთავრეს წყაროს და სამოქმედო ასპარეზს შეადგენს. მაგრამ ჩვენი მეურნეობა შეჩერდა ერთ დონეზე, ზოგ დარგში კიდეც ჩამოქვეითდა და მისი ნაწარმოები ვერ ჰპოულობს თავის დროზე შესაფერ გასავალს და ბაზარს.

ჩვენს მეურნეობას (მევენახეობა, მესაქონლეობა, მეხილეობა, მეაბრეშუმეობა, ჩაის, თამბაქოს, ბამბის მოყვანა და სხ.) აქვს არა მარტო ადგილობრივი მნიშვნელობა, არამედ როგორც ცნობილია მთელი რუსეთისა და მსოფლიოს მასშტაბით.

ეს მეურნეობა იყო ამდენხანს შედარებით მივარდნილი და ვერ ჰპოულობდა პატრონობას და დახმარებას.

ამიერ-კავკასიის სამეურნეო ბანკმა ამისათვის ხელქვეით ორგანიზაციებთან ერთად უნდა შეავსოს ის ნაკლი, რომელიც არსებობდა ძველი რეჟიმის დროს და რომლის გასწორებას შეუდგა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება. მან უნდა მისცეს სოფლის მეურნეობას არა მარტო იაფი და ხანგრძლივი კრედიტი, რაც არ არსებობდა აქამდის ჩვენს ქვეყანაში, არამედ უნდა მოაწყოს თვით წესები ამ კრედიტის აზრიანად გაცემის და სარგებლობისა, მან უნდა შექმნას ახალი ორგანოები, რომელნიც უზრუნველჰყოფენ იმას, რომ კრედიტი მოხმარდეს ნამდვილ მეურნეობას და მის გაუმჯობესებას და გაცემული თანხაც უკლებლივ თავის დროზედ დაუბრუნდეს ბანკს, რათა ამნაირათ უფრო ფართო მასებმა ისარგებლონ ბანკის კრედიტით.

ბანკის ძირითად თანხას შეადგენს 5 მილ. მან. ოქროთი. რა თქმა უნდა, ეს თანხა არ არის საკმარისი, რომ სავსებით განხორციელდეს ბანკის დიდი მიზანი, მაგრამ თვით ადგილობრივმა ხელისუფლებამ და მთელმა ხალხმა უნდა მიიღოს ყველა ზომები, გაადიდოს ეს თანხა, გადასდოს ამისათვის განსაკუთრებული დანიშნულების ფულები, აამოძრავოს რესპუბლიკანური ფონდები, გადასცეს შესანახად ანაბარი თანხები, გახსნას მიმდინარე ანგარიშები და საერთოთ გაუმაგროს საძირკველი ამ ახალ დაწესებულებას.

თავისი ოპერაციების გასაფართოებლად ამიერ-კავკასიის სამეურნეო ბანკი ისარგებლებს ახალი საკრედიტო დაწესებულებებით რესპუბლიკანურ ცენტრებში; დაბა-სოფლებში კი რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს დაევალებათ დაარსონ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი, რომლებიც უშუალოდ დაიჭერენ კავშირს სოფლელებთან. გარდა ნაღდი ფულისა, ბანკი მისცემს კრედიტს აგრეთვე გლეხებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღით და სხვა საგნებით.

ეს მუშაობა იქნება რთული, ახალი და მრავალმხრივი, მაგრამ უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ შეერთებული ძალებით და მხნე და ენერგიული მოქმედებით, ხალხის და ყველა ხელმძღვანელ ორგანოების თანამშრომლობით ყველა დაბრკოლებანი იქნება დაძლეული და საბჭოთა ხელისუფლება შეასრულებს თავის მოვალეობას.

გ. ნ.

წითელი ჯარის რიგებისაკენ

წითელი არმია პროლეტარული რევოლუციის შეიარაღებული ძალაა. იგი იცავს ამ რევოლუციის მონაპოვარს. კიდევ მეტი—უზრუნველ ჰყოფს მის წარმატებას. უნდა ითქვას გადაჭრით: მთელი სამოქალაქო ომები სახელოვანი წითელი ჯარის საშუალებით დასრულდა მშრომელმა კლასმა თავის [illegible]ტეებით.

სახელმწიფოს საკუთარი ჯარი ჰყავს. სახელმწიფო კი ერთი კლასის მეორე კლასზე ბატონობის იარაღია აქედან ცხადია, რომ სამხედრო შეიარაღებული ძალაც უეჭველად გაბატონებულ კლასის ინტერესების გამომხატველია. ეს საერთოდ ცნობილი ფაქტია. ჩვენი წითელი არმიაც კლასის ინტერესების დამცველია, სახელდობრ—მუშათა კლასის, ყველა ჩაგრულებისა და გაყვლეფილების. იგი უაღრესად, ზედმიწევნით კლასიური მოვლენაა, კლასიური ძალა. ამშია თვით წითელი არმიის ძლიერება.

ბურჟუაზიულ ქვეყნების ჯარი უმთავრესად მუშებისა და გლეხებისაგან შესდგება. თვითონ ბურჟუაზია ვერ ზიდავს იარაღის ხმარებას, ჯარისკაცობას. რაკი ჯარი უმთავრესად არაბურჟუაზიულ წრეებისაგან შესდგება, ჯარიც ატარებს შედარებით ნაკლებ ბურჟუაზიულ შეგნებას, ბურჟუაზიის ინტერესებს. მაგრამ მდიდრები და მყვლეფელები მოხერხებულად იქცევიან. ისინი ჯარზე ბატონობენ, პირდაპირ დიქტატორობენ ჯარისკაცებზე, მათი გავლენა და ხელმძღვანელობა უსაზღვრო და დიდია. ამას ისინი აღწევენ ჯარის გაბრიყვებით, ჯარის ნაწილებში განათლების შეუტანლობით, სასტიკი, ბატონ ყმური ურთიერთობისა და დისციპლინის დამყარებით, ბურჟუაზიული ლიტერატურის უხვად გავრცელებით და ვინ იცის, კიდევ რა ღირსების საშუალებებით. როგორც ვხედავთ, კაპიტალისტურ სახელმწიფოებში გასაკვირი ამბავი ხდება: ჯარი არსებითად მუშებისა და გლეხებისაგანაა შემდგარი, მაგრამ იგი გამოყენებული ჰყავს მუქთა-ხორებს—კაპიტალისტებს და ბურჟუაზიას არა მუშების მიზნებისათვის, არამედ საკუთარი კლასიური ბატონობის განმტკიცებისათვის.

სულ სხვას ვხედავთ ჩვენში, საბჭოთა რესპუბლიკებში. როგორც ვსთქვით, წითელი არმია უაღრესად კლასიურია, ე. ი. შეიარაღებული მშრომელთა კლასია. იგი იცავს საკუთარ ინტერესებს და ებრძვის როგორც შინაურ, ისე გარეშე კონტრ-რევოლუციას ამგვარად, ბრძოლის ექვსი წლის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ: დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება სამხედრო ძალა, რომელიც წითელ არმიას აჯობებდეს. ამის თქმა ჩვენ ტრაბახობით არ ჩამოგვერთმევა. ევროპის ბურჟუაზიული პრესა აღნიშნავს ჩვენს სამხედრო ძლიერებას.

ამ აზრით შეიძლება ითქვას, ოქტომბრის რევოლუციის ისტორია—წითელი ჯარის ისტორიაა. ეს არც წითელი არმიის სახელის აღმატებაა და არც დამცირება. ფაქტის უბრალო აღნიშვნაა. რას წარმოადგენს თვით წითელი ჯარი? იგი სიმბოლოა, ნიშანია ქალაქის მუშების და ღარიბ გლეხკაცობის ინტერესთა ერთიანობის—ამბობდა ამხ. ლენინი წითელი ჯარის შექმნის დროს, 1918 წელს. ოქტომბრის რევოლუცია მუშებისა და გლეხების მოძრაობაა. საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა შექმნეს საკუთარი კლასიური სახელმწიფო, საკუთარი მთავრობა, საკუთარი ხელისუფლება. საჭირო შეიქნა ხელისუფლების დაცვა. ეს მხოლოდ შეიარაღებული ძალით შეეძლებოდა. ვინ შეიარაღდებოდა, თუ არა თვით მუშა და გლეხი. წითელი არმიაც მუშურ გლეხურია, მუშებისა და ღარიბ გლეხების განთავისუფლებისათვის მოწოდებული.

რატომაა უძლეველი წითელი ჯარი? იმიტომ, რომ იგი საკუთარ ინტერესებს ემსახურება, იბრძვის კლასიურ მტრების წინააღმდეგ. წითელმა არმიელმა კარგად იცის რას აკეთებს, რას ემსახურება, კიდევ მეტი—რა უნდა გააკეთოს, როგორია მისი ამოცანა და როლი კომუნისტურ მოძრაობაში. კაპიტალისტურ ქვეყნების ჯარები გაბატონებულ კლასების ბრმა იარაღია, ან, როგორც რუსები იტყვიან, „пушечное мясо“. წითელი არმიელი შეგნებული, მომზადებული მებრძოლია. იგი ზარბაზნის ხორცი კი არაა, როგორც ფიქრობდა ბურჟუაზია. პირიქით, ბურჟუაზია ზარბაზნის ხორცია თანამედროვე წითელარმიელის ხელში.

ახლა ვიხილოთ თანამედროვე წითელი არმიელი უფლებრივად და ყოფა-ცხოვრების მხრით. კაპიტალისტურ ქვეყნებში ჯარისკაცი მოკლებულია ყოველივე მოქალაქეობრივ უფლებებს. მას აქვს ერთი უფლება: ბრძანების დაუყონებლად ასრულება. ნიკოლოზის მთავრობა როგორ ეპყრობოდა ჯარს, ვიცით ყველამ. ძველი მთავრობის პოლიტიკას მოხდენილად ახასიათებს ის წარწერა, რომელიც მეფ. ბაღების შესასვლელ კარებთან ქვეყნდებოდა: **Не вводить собак, свиней, и нижних чинов“** ხოლო ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის არსებული არაადამიანური ურთიერთობა ყველასათვის ნათელი იყო. ჯარისკაცი გაურბოდა სამხედრო სამსახურს, რადგან ეს სამსახური მას სამუდამოდ ასვამდა მონობის ბეჭედს. ძველი ყაზარმები ნამდვილი ციხე კატორღა იყო ჯარისკაცისათვის. მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა მენშევიკების დროს ჯარისკაცების სასარგებლოდ. პირიქით, მათი მდგომარეობა უფრო გაუარესდა, გაუბედურდა. მენშევიკებმა შექმნეს ეგრედ წოდებული გვარდია. იგი პარტიული მიზნისთვის გამოიყენეს. გვარდიელს ეცვა, ეხურა, ჰქონდა კარგი ბინა და სხ. ჯარისკაცს კი—არაფერი. წინეთ ჯარისკაცი მხოლოდ ხელმძღვანელებთან იყო დაპირისპირებული. მენშევიკების დროს ჯარისკაცი თვით „მოძმეს“—გვარდიას დაუპირისპირდა. ეს არც ისე დიდი ხნის ამბავია.

დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს, სურათი ძირ-ბუდიანად შეცვლილი. ჯარისკაცი სამსახურს ატარებს წმინდა კულტურულ და არა ყაზარმულ პირობებში. ძველი ყაზარმა სკოლადაა გადაქცეული. უფროს-უმცროსობა არაა შინაურ ცხოვრებაში. ამხანაგური ურთიერთობაა ხელმძღვანელებსა და არმიელებს შორის. არმიაში არაა ნაწილები, ერთმანეთთან დაპირისპირებული. მთლიანი წითელი არმიაა, რომლის წევრები თანაბარ პირობებში არიან ჩაყენებული. ჩვენმა ჯარისკაცებმა, რომლებიც უვადო შვებულებაში მიდიან, კარგად იციან ეს. მათი ვალია საკუთარი ცოდნა-გამოცდილება გაუზიარონ გასაწვევ ახალგაზრდობას, აგრეთვე—მთელ სოფლის მასას.

საქართველოს მშრომელი, მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა უსათუოდ დიდის ხალისით გასწევს წითელი არმიის რიგებისაკენ. წითელი არმიელობა დღეს ამაყობაა, რომელსაც თან ახლავს საკუთარ თავზე გმირის, მებრძოლის, რევოლუციონერის და მუქთა-ხორა ბურჟუა-კაპიტალისტების დაუძინებელი მტრის წარმომადგენის შემუშავება. მორიგი გაწვევა დაამტკიცებს ამას.

გ. მუშიშვილი.

ცოტა რამ ჩათახის ქარხანაზე

ამ უკანასკნელ ხანებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩათახის ქარხნის ყოფნა არ ყოფნამ და ამიტომ მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო ამ საკითხს. უპირველეს ყოვლისა მე დავიწყებ იქიდან თუ რისთვის შეუდგა 1922 წ. უმაღლესი სამეურნეო საბჭო ამ ქარხნის აღდგენას და იყო თუ არა ეს აუცილებლად საჭირო.

უმ. ს. მ. საბჭო შეუდგა 1922 წ. ამ ქარხნის აღდგენას, იმიტომ რომ აუცილებელი არის ჩვენი წარმოებისათვის. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ის მხარე, სადაც არ მოიპოვება ლითონი და მისი წარმოება, იქნება მუდამ დაცემული და დაქვეითებული. თუ არ არსებობს ლითონის წარმოება, მაშასადამე, არც არსებობს საზოგადოთ წარმოება. ამის მტკიცება ზედმეტია.

თუ ავიღებთ სტატისტიკურ ცნობებს დაწყებული 1800 წლებიდან დღემდის, ნათლად დავინახავთ, რომ ჩვენი წარმოება იყო რაღაც შინამრეწველობაზე კიდევ უფრო დაბლა, ის კმაყოფილდებოდა მხოლოდ რუსეთიდან ან საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი სხვადასხვა მანქანებით და ნაწილებით. ამიტომ ამ ხნის განმავლობაში ყველა ლითონის გადამამუშავებელ ქარხნებში (გარდა რკინის გზის მთავარ სახელოსნოსი) მუშაობდენ 150 კაციდან 250-მდე, ისიც დრო გამოშვებით. არავინ ფიქრობდა რაიმე წარმოებაზე. იქნება ვინმემ სთქვას რომ ეს წარმოება საჭირო არ იყოო. მე ამაში ვერავის დავეთანხმები. იმიტომ, რომ თუ კი საზღვარ-გარეთიდან და რუსეთიდან შემოდიოდა სხვადასხვა მანქანები, მაშასადამე, ის ყოფილა საჭირო. მაგრამ ეს არავის აინტერესებდა მაშინ.

საქ. უმაღლ. მეურნეობის საბჭო დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა შეუდგა სხვადასხვა დანგრეულ და აოხრებულ ქარხნების აღდგენას და მათ შორის ჩათახის ქარხანასაც. მართალია მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა სამეურნეო საბჭო მაშინ, როცა სამეურნეო ხარჯებზე გადასვლა ხდებოდა. სამეურნეო საბჭომ მაინც დაისახა მიზნათ, ამ საქმის მოწყობა და ასეც მოხდა. შარშან აპრილის რიცხვებში პირველი ღუმელი იქმნა ანთებული, რომელიც დღესაც მუშაობს და იძლევა დღე და ღამეში 300 ფუთ ნედლ თუჯს საუკეთესო ხარისხისას.

ეხლა გადავხედოთ თუ რა ხდება ლითონის დამამუშავებელ ქარხნებში. ჩათახის ქარხანამ ჩაბერა მამოძრავებელი სული ლითონის წარმოებას. დღეს ლითონის განყოფილების ქარხნებში მუშაობენ 450 მუშამდის. რას აკეთებენ ისინი? იმას რაც არ გაუკეთებია არასოდეს საქართველოს ქარხნებს. დღეს უკვე დამთავრებულია და მუშაობს განუწყვეტლივ ათი თვის განმავლობაში წყლის მბრუნავი (турбина), რომელიც ამოძრავებს ჩათახის ქარხანას. ეს არის დამზადებული ლითონის განყოფილების ქარხნებში. მაგრამ ეს ცოტაა.

ელექტროფიკაცია ეს ჩვენი დიდი მიზანია. ჩვენ უნდა შევქმნათ პირობები, რომელიც მისცემს საშუალებას გლეხობას დაიწყოს ელექტროფიკაციის გატარება ვიწრო ფარგლებში. ეს უფრო ადვილი და ადვილი გასატარებელია. მე აქ მაგონდება ჩვენი ბელადი ლენინის სიტყვა, ის ამბობს: საბჭოთა ხელისუფლებას მიუმატოთ ელექტროფიკაცია იქნება სოციალიზმიო.

და აი სწორედ დღეს ჩათახის თუჯის საშუალებით ლითონის განყოფილების ქარხნები ამზადებენ შეკვეთით შვიდ მბრუნავს. მისივე საშუალებით მზადდება აუარებელი სამეურნეო მანქანები. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ თუ ლითონის განყოფილებამ შესძლო ცოტათი მაინც თავის პირობების გაუმჯობესება, ორი სამი წლის განმავლობაში ის შესძლებს მიაწოდოს მთელ საქართველოს გლეხობას ყოველგვარი სამეურნეო მანქანები.

გარდა ამისა ჭიათურის მაღაროებში მუშაობა საგრძნობლად მატულობს. აქაც დიდი საქმეები აქვს ლითონის განყოფილებას და ეს იმიტომ რომ ჩათახის ქარხანა ამუშავდა. მან მოგვცა საჭირო ნედლი მასალა და ამით საშუალება ამუშავებულიყო ლითონის დამმუშავებელი ქარხნები. და აი ამ დღეებში იყო ეს საკითხი დაყენებული სათანადო ორგანოებში. და ისეც გადაწყვეტილია ისე, როგორც მოითხოვს ქვეყნის ეკონომიური ინტერესები. ჩათახის ქარხანას მიეცა საჭირო თანხა დაწყებული საქმეების დასამთავრებლად, როგორც არის მეორე ღუმელის დამთავრება და მილების სასხმო ქარხანა.

ეხლა ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო შემდეგ გარემოებას. ზოგი ამხანაგი გვირჩევდა ხელი აგვეღო ჩათახზე იმიტომ, რომ თითქოს იქ არ იყოს საკმაო მადანი. მაგრამ ეხლა ამ აზრის დაცვას ველარ ბედავენ, ვინაიდან წინააღმდეგი კარგათ დაამტკიცა ინჟ. კარაპეტიანმა და დაამოწმა გერმანელთა კომისიამ, რომელიც შესდგებოდა საუკეთესო გეოლოგებისაგან.

ამის შემდეგ მაინც გამოჩნდენ ახალი მოწინააღმდეგენი, რომელთაც სურთ დაგვიმტკიცონ თითქოს ჩათახი ვერ შესძლებს მუშაობას სათბობ მასალის სიცოტავის გამო. ამაზე მე შემიძლია უპასუხო ორიოდე სიტყვით.

ჩვენ ხელთ არის მიწათ-მოქმედების კომისარიატის სატყესაციო კომისიის შედგენილი მასალა და ნურას უკაცრავად თუ ამ კომისიას მეტი დაუჯეროთ ვინემ პროფესორ ვინოგრადოვ-ნიკიტინს და ინჟ. მათეევს. ამ კომისიის ნამუშევარი ამბობს, რომ სათბობი მასალა საკმარისს აღემატება. და მასთან ერთად, განა დასაშვებია, რომ ჩვენ მუდამ ვიმუშაოთ ხის ნახშირით, როცა ჩვენ ხელთ არის აუარებელი თეთრი ნახშირის ძალა (წყლის), რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს რაც შეიძლება ჩქარა და უფრო ვრცელი მაშტაბით გამოყენებული?

ზოგი იმასაც ფიქრობს, თითქოს ჩათახის ქარხანა ვერ შესძლებს გაუმაგრდეს რუსეთის ქარხნების კონკურენციას და ამიტომ არ არის მიზანშეწონილი მისი ამუშავება. მე მინდა აქ ხაზი გაუსვა შემდეგს. არ ყოფილა არც უწინ და არც ეხლა ის აზრი, რომ ჩათახის ქარხანა გამოსულიყო და მას დაეწყო მეტოქეობა რუსეთის ბაზარზე, ეს სიბავშვე იქნებოდა მეტი არაფერი, მაგრამ განა ეს უნდა გვართმევდეს საშუალებას, რომ ჩვენ მოვაწყოთ ქარხნები იქ, სადაც ეს ხელსაყრელია? განა ამას არ გვიკარნახებს მე-12 პარტიული ყრილობის დადგენილება, სადაც ნათქვამია განაპირა სახელმწიფოებში უნდა იქნას წარმოება აყვავებულიო. ეს იმიტომ, რომ მეტი პროლეტარული ელემენტი შეიქმნას ადგილობრივ და განა ეს გეგმა არ გადის ჩვენ თვალწინ?

ჩათახის ქარხანაში მუშაობს 500-დან 600 კაცი და აგრეთვე ადგილობრივ გლეხებს ეძლევათ საშუალება იმუშაონ ქარხანაში. თვეში იმოძრავებს 2000—2500 ურემი. განა ამას არ უნდა მიექცეს ყურადღება?

მე ვამბობ, ჩათახის ქარხანა—ეს არის პირველი ნაბიჯი, ეს არის არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერ-კავკასიის სამშვენი, იქ არის ჩაყრილი პირველი საძირკველი მძიმე ინდუსტრიის აღორძინებისა, იქედან იწყება ახალი ერა წარმოებისა, ის მოითხოვს მეტ ყურადღებას და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყურადღება არ მოაკლდება მას ვისგანაც ჯერარს.

გ. კალანდაძე.

რადიო-დეპეშები

(„ზაკ როსტა“-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

გრძელდება დოკუმენტების გამოქვეყნება ამერიკული კომიტეტის მიერ რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერებისათვის დახმარების გაწევის შესახებ. საბჭოთა კავშირის პურმა უცხოეთის ბაზრიდან განდევნა ამერიკის პური. ჩვენი ვაჭრობა უცხოეთთან ფართე ხასიათს იღებს: ექსპორტი წელს ოთხჯერ გაიზარდა.

საბჭოთა კავშირი მიწვეულია იტალიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკა ეხმარებოდა რუსეთის კონტრ-რევოლიუციას

„ასპროცენტიანი“ ამერიკელების „კეთილმოქმედება“

დამშეულთათვის შეგროვებული ფულებით შავ გენერლებს ეხმარებოდნენ

ნიუ-იორკი. 3 მარტი, „როსტას“ კორესპონდენტმა მოახერხა მიეღო ჯერ გამოუქვეყნებელი საბუთები ამერიკელი კაპიტანის მარტინის საქმის შესახებ, რომელსაც იხსენიებდა სკაიფი თავის ჩვენებაში.

მარტინი ამტკიცებს, რომ მის განკარგულებაში არის ცნობები, რომლებიც ადასტურებენ საიდუმლო შეთანხმების არსებობას ამერიკასა და ინგლისის მთავრობებს შორის რუსეთში კონტრ-რევოლუციონური მოძრაობისათვის დახმარების გაწევის შესახებ. ინგლისს რუს კონტრ-რევოლუციონერებისათვის უნდა მიეწოდებია თოფები, ყუმბარები, აეროპლანები და ტანკები, ამერიკელებს კი—ტანსაცმელი, სურსათი და ავტომობილები. ამერიკის დამხმარე კომიტეტისათვის დამშეულთა დასახმარებლად მიცემული თანხები გამოყენებული იქნა ლენინგრადის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებისათვის.

„იუნაიტედ პრესს“-ის წარმომადგენელთან საუბრის დროს მარტინმა აღნიშნა, რომ **გუვერმა განკარგულება გასცა გაგზავნილი ყოფილიყო ბორდოში ზღვით საბარგო ავტომობილები და სურსათი იუდენიჩის არმიისათვის, რაც შესრულებული იქნა მარტინის მიერ.**

მარტინი იუწყება, რომ გუვერმა რუს კონტრ-რევოლუციონერების დასახმარებლად რეველში გაგზავნა გენერალი მალკი, რომელმაც უამბო მარტინს, რომ **ინგლისის ფლოტი იცდის რიგაში, რომ ფინეთის არმია საზღვარზე დგას და ელოდება, როდის დაიკავებს იუდენიჩი ლენინგრადს.**

რეველში ჩასვლის შემდეგ მალკი გაემგზავრა იუდენიჩთან, მარტინმა კი ბარგი, რომელიც შესდგებოდა 60 საბარგო ავტომობილიდან, 1000 კასრი გაზოლინიდან და სხვა, ჩააბარა გენერალ იანოვს, იუდენიჩის მთავარ ინტენდანტს.

გუვერი უარყოფს სკაიფის ცნობებს.

საბჭოთა კავშირის პური უცხოეთის ბაზარზე

ისინიც კი აღიარებენ.

ნიუ-იორკი. 31 მარტი. ამერიკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ იულიუს ბარნესმა „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ რუსეთის პურის ვაჭრობა აღდგენის გზაზე სდგას. ექსპორტის მონოპოლია საბჭოთა მთავრობას საშუალებას აძლევს გაყიდოს მარცვლეული ამერიკის ფასებზე უფრო იაფად. ბარნესის სიტყვით, საბჭოთა კავშირის პური დიდ მეტოქეობას უწევს ამერიკის პურს, განსაკუთრებით გერმანიაში, რომელიც ამჟამად პურის უმთავრეს ბაზარს წარმოადგენს ევროპაში. სასტიკი კონტროლი პურის ექსპორტზე საშუალებას აძლევს საბჭოთა მთავრობას დააგროვოს ქვავის მარაგი ნეიტრალურ ქვეყნებში, ხოლო შემდეგ სწრაფად გადაზიდოს ის გერმანიაში, როგორც კი გერმანელი ვაჭრები შესძლებენ მის შესყიდვას. მეტოქე ამერიკელ კომერსანტებს არ შეუძლიათ ასე მოიქცნენ, რის გამო ისინი ცუდ მდგომარეობაში ვარდებიან.

დამოკიდებულება ინგლისთან

რა სურთ საბჭოთა კავშირის მტრებს.

ვენა. 31 მარტი. **პრესის ზოგიერთმა წარმომადგენლებმა თანაგრძნობა გამოუცხადეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ამხ. რაკოვსკის „დეილი ტელეგრაფის“ მიერ საძაგელი გამოხდომების გამო როტშტეინის წინააღმდეგ.**

პრესის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის მტრებს სურთ ჩაშალონ მოლაპარაკება ორივე ქვეყნის წარმომადგენლებს შორის.

ვენის კონფერენციაზე

ბესარაბიის საკითხი

რუმინეთის დელეგაციის მემორანდუმი.

ვენა. 31 მარტი. კონფერენციის 31 მარტის სხდომაზე რუმინიის დელეგაციის მეთაურმა რასკანუმ საბჭოთა დელეგაციის მიერ წაკითხული დეკლარაციის საპასუხოთ გამოაქვეყნა რუმინეთის დელეგაციის ვრცელი მემორანდუმი.

რუმინეთის დელეგაცია ისტორიაზე დაყრდნობით ცდილობს დაამტკიცოს რუმინეთის მთავრობის თვალსაზრისის სისწორე ბესარაბიის საკითხში **და უარყოფს პლებისციტს, რადგან ბესარაბიის საკითხს გადაჭრილად სთვლის.**

საბჭოთა დელეგაცია პასუხს გასცემს რუმინეთის მემორანდუმზე კონფერენციის ორი აპრილის სხდომაზე.

ბესარაბიის საკითხი დასმული იქნება კონფერენციაზე.

ვენა. 31 მარტი. ბესარაბიის საკითხის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა და დაწყებული დისკუსია ამტკიცებს, რომ რუმინეთის დელეგაციის ცდა გვერდი აუხვიოს ბესარაბიის საკითხის განხილვისათვის, არ მოხერხდა. რუმინეთის დელეგაციას, წინააღმდეგ თავის სურვილისა, უხდება ამ საკითხის განხილვა და რომ ამ საკითხში რუმინეთის დელეგაციის მიერ დაკავებული პოზიციის გამო შეთანხმება არ იქნა მიღწეული, მაშინაც კი **ბესარაბიის საკითხის დასმა და პლებისციტის მოხდენის საჯაროდ მოთხოვნას უდიდესი მნიშვნელობა ექნება, რადგან ის გაამაგრებს საბჭოთა კავშირის პოზიციას ამ საკითხში.**

რუმინეთის პრესის განგაში.

ვენა 31 მარტი. **რუმინეთის პრესა ისევ პესიმისტურად არის განწყობილი ვენის კონფერენციაზე შეთანხმების შესაძლებლობისადმი და სცდილობს შეცდომაში შეიყვანოს რუმინეთის საზოგადოება საბჭოთა დელეგაციის პოზიციის გაშუქების დროს.**

გერმანიის ამბები

„უკანასკნელი“ გაფრთხილება.

პარიზი. 2 აპრილი. მიუნხენის პოლიციის პრეფექტმა „უკანასკნელი“ გაფრთხილებით მიმართა მცხოვრებთ არ მოაწყონ რაიმე მანიფესტაცია ჰიტლერის საქმეზე განაჩენის გამოტანის გამო.

„უკანასკნელი“ გაფრთხილების არ ეშინიათ.

ლონდონი. 2 აპრ. „დეილი მეილის“ კორესპონდენტი მიუნხენიდან იტყობინება, რომ განაჩენის გამოტანის შემდეგ ნაციონალისტებმა მხურვალე ოვაციები გაუმართეს განთავისუფლებულ ლიუდენდორფს.

ლიუდენდორფი არ ცხრება.

ბერლინი. 2 აპრილი. ლიუდენდორფმა წამოაყენა თავისი კანდიდატურა რეიხსტაგში არჩევნების დროს.

პარიზი. 2 აპრილი. ბერლინიდან მიღებული ცნობებით ლიუდენდორფი, ჰეხნერი და რევენტლოვი მონაწილეობას იღებენ საარჩევნო კამპანიაში

საფრანგეთის პრესა განაჩენის შესახებ.

პარიზი. 2 აპრილი. „ეკო დე პარი“ სწერს: „მიუნხენის განაჩენი სავსებით შეეფერება პროცესის მსვლელობას. ბავარიის მოსამართლეები ზიზღის ღირსი არიან მართლმსაჯულების ფეხქვეშ გათელვისათვის.

„ფიგარო“ სწერს: „როგორც სჩანს მემარჯვენე პარტიები სამხედრო დიქტატურას კვლავ აუცილებლათ სთვლიან. ჰიტლერისა და ლიუდენდორფის ნაცვლად სხვები ემზადებიან“.

„მატენ“ — „მიუნხენის სასამართლოს განაჩენი თვით საიმპერიო მთავრობამ მოამზადა“.

განაჩენიც ასეთი უნდა.

ბერლინი. 31 მარტი. სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ჰიტლერის საქმის გამო. ბრალდებულთ ჰიტლერს, გენერს, კრიგერს და ვებერს მისჯილი აქვთ 5 წლის ციხე იმ შენიშვნით, რომ 6 თვის დაპატიმრების შემდეგ შემდეგი ვადა ჩაეთვლებათ პირობითად და ყველა ბრალდებულები განთავისუფლებული იქნებიან.

ლიუდენდორფი გამართლებულია.

დანარჩენ ბრალდებულთ მიესაჯათ ციხეში დაპატიმრება 3 წლიდან 3 თვემდე და აგრეთვე ყველას პირობითად.

მუშები მტკიცედ იცავენ თავის ინტერესებს.

ბერლინი. 31 მარტი ტიურინგიის ფეიქართა და მელითონეთა კავშირებმა უარყვეს წინადადება სამუშაო დღის გადიდების შესახებ. შუა გერმანიის ქიმიური მრეწველობის მუშები განაგრძობენ ბრძოლას შრომის ხელფასის გადიდებისათვის. ვიურტემბერგის რკინისგზელთა გაფიცვა ფართოვდება. ბერლინში ლითონის დამამუშავებელ მრეწველობის ზოგიერთ წარმოებებში დაიწყო [illegible]

კომუნისტები იმარჯვებენ.

ბერლინი. 30 მარ. რურის ოლქის 19 მაღაროში სამთო მადნო წარმოების მუშების კომუნისტურმა კავშირმა ფაბქარხკომების არჩევნების დროს მიიღო 5.700 ხმა, სოციალ-დემოკრატებმა მხოლოდ 2 300.

ტიურინგიის მსხვილ წარმოებებში კომუნისტებმა მიიღეს 9 მანდატი, სოციალ-დემოკრატებმა მხოლოდ 8.

ბერლინში სიმენსის წარმოებებში კომუნისტებმა მიიღეს 15 მანდატი, სოციალ-დემოკრატებმა—9.

უფროსების ძველი ტაქტიკა.

ბერლინი. 30 მარტი. გერმანიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო განაგრძობს პროფმოძრაობაში განხეთქილების შეტანის ტაქტიკას. ხის დამმუშავებელთა, მღებავთა, პურის მცხობელთა ცენტრალურმა გამგეობებმა მოსთხოვეს რემშეიდის საბჭოს პროფკავშირების ოპოზიციონური გაერთიანებიდან გამოსვლა.

ფეიქართა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ კომუნისტური შემადგენლობის საბჭო გამორიცხა კავშირიდან.

ვაჭრობა უცხოეთთან

გაყინული ხორცის შესყიდვა.

მოსკოვი. 2 აპრილი. ცენტროსოიუზი არგენტინაში, ბრაზილიაში და ახალ ზელანდიაში აწარმოებს გაყინული ხორცის შესყიდვას. შესყიდული იქნება 3,000 ტონა ხორცი. პირველი პარტია ჩამოვა მოსკოვში მაისის დამლევს.

უცხოეთის ხორცის შემოზიდვა შეასუსტებს ხორცის მოსალოდნელ კრიზისს, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი იქნება ზაფხულის დასაწყისში, როდესაც ჩვეულებრივ დასაკლავ საქონლის რიცხვი მცირდება.

ურთიერთობა აღმოსავლეთთან

სპარსეთის ვაჭრები ბაქოს ბაზრობაზე.

მოსკოვი. 2 აპრილი. რუსეთ აღმოსავლეთის სავაჭრო პალატაში თათბირზე, რომელიც იხილავდა საკითხს სპარსეთის მონაწილეობის შესახებ ბაქოს ბაზრობაზე, **სპარსეთის ვაჭრებმა დაადგინეს ხელი შეუწყონ ბაზრობის განვითარებას: მათ გადაწყვიტეს მოიტანონ ბაზრობაზე სპარსეთიდან სხვადასხვაგვარი ნედლი მასალა, ბამბა, მატყლი, ტყავეულობა და სხვა,** და შეატყობინონ სპარსეთის ვაჭრების ფართო წრეებს იმის შესახებ, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ ბაზრობაზე.

სილიკატის მრეწველობის სინდიკატის დამოკიდებულება ოსმალეთთან და ეგვიპტესთან.

მოსკოვი. 2 აპრილი. სილიკატის მრეწველობის სინდიკატმა ოსმალეთში გაგზავნა შუშა-ფაიფურის პროდუქციის ნიმუშები; ასეთივე ნიმუშები გაგზავნილი იქნება ახლო მომავალში ეგვიპტეში.

პოლონეთი.

ტერორი ძლიერდება.

ვარშავა. 31 მარტი. გალიციიდან ლტოლვილთა ცნობით, **პოლონეთის ნაციონალისტური პრესა უკანასკნელ ხანებში ყალბ ცნობებს ავრცელებს საბჭოთა კავშირის შესახებ.** გაზეთები არწმუნებენ მცხოვრებთ, რომ საბჭოთა კავშირში გამოცხადებულია რამდენიმე ჰასაკის სამხედრო ვალდებულთა მობილიზაცია.

ვარშავიდან მიღებული ცნობით, პოლონეთის სამხედრო მინისტრი გაემგზავრა აღმოსავლეთის საზღვარზე.

გალიციაში ტერორი არ შეწყვეტილა. პოლონეთის ადმინისტრაცია ხოცავს ყველას, ვისაც ეჭვით აპატიმრებენ კომუნისტებისადმი თანაგრძნობისათვის.

პოლონეთის არმიაში გავრცელებულია ცემა-ტყეპა.

პოლიტიკური ტუსაღების მიერ ლვოვის ციხეში გამოცხადებული შიმშილობა შეწყდა, რადგან ციხის ადმინისტრაციამ დააკმაყოფილა პატიმართა მოთხოვნილებები.

მონღოლეთი.

მჭიდრო თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან.

ურგა. 31 მარტი. **ურიანხაის მხარე ვითარდება მჭიდრო თანამშრომლობის გზით საბჭოთა კავშირთან.** აღმოფხვრილია ყველა ძველი ფეოდალური ნაშთები. თემებს და მაზრებს განაგებენ საბჭოები. გამოცემულია სისხლის სამართლის კოდექსი და კანონი შრომის შესახებ. სწარმოებს სკოლების აღდგენა.

იტალია.

მიწვევა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

მოსკოვი. 2 აპრილი. **იტალიის საელჩომ მოსკოვში მიმართა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს წერილით, რომლითაც იწვევს საბჭოთა კავშირის სამეურნეო ორგანოებს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე,** რომელიც შესდგება პადუაში მიმდინარე წლის მაისში—ივნისში.

პოლონეთი.

მოლაპარაკება რუსეთ პოლონეთის კონფერენციის შესახებ.

ვარშავა. 30 მარტი ვარშავაში ჩავიდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია პოლონეთთან რკინისგზის კონვენციის შესახებ მოსალაპარაკებლად.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის საზეიმო შეხვედრა სპარსეთში

თეირანი. 30 მარტი. **ენზელიდან იუწყებიან, რომ დიდი ზეიმით შეხვდენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს შუმიაცკის ადგილობრივი ხელისუფლება, სამხედრო ნაწილები და მოქალაქენი.**

გერმანიას სძარცვავენ

ექსპერტთა კომისიის დადგენილება.

ბერლინი. 31 მარტი. ექსპერტთა კომისიაში მიღწეულია შეთანხმება შემდეგი ღონისძიებათა გატარების შესახებ: 1) გერმანიისათვის 3 წლის მორატორიუმის მინიჭება იმ პირობით, თუ გერმანია ყოველწლიურად გადაიხდის 800 მილ. ოქროს მარკას, 2) საერთაშორისო საზოგადოების დაარსება, რომელიც გამოუშვებს გრძელვადიან ვალდებულებებს 10 მილიარდ მარკის რაოდენობით. ობლიგაციების 60 პროცენტს იღებს სარეპარაციო კომისია, და 40 პროცენტს გერმანიის მთავრობა. 3) საერთაშორისო საზოგადოებისათვის გერმანიის რკინის გზების კონცესიების მიცემა 50 წლის ვადით, საზოგადოების აქციების და ობლიგაციების ნახევარს იღებს სარეპარაციო კომისია, ნახევარს—გერმანია. 4) ყოველწლიურ საერთაშორისო სესხის

დღეს, ხუთშაბათს, 3 აპრილს საღამოს 7 საათზე სეკრეტარიატში მოწვეულია

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიურო

ბიუროების ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება, საკითხების მნიშვნელობის გამო—სავალდებულოა

საქართველოს კომპარტიის (ბ) ტფილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს პარასკევს, 4 აპრილს

ერთიან პარტიულ დღეს

საკითხები წამოყენებული იქნეს თვით უჯრედების მიერ

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუხაძე.

დღეს, ხუთშაბათს, აპრილის 3, საღამოს 7 საათზე

დანიშნულია საქ. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა

საქ. ცაკის მდივანი ხაზაშვილი

გამოშვება 2 ნახევარი მილიარდი ოქროს მარაგის რაოდენობით, გერმანიის საბიუჯეტო ბალანსის აღდგენამდე. სესხის განსახორციელებლად ეწყობა საერთაშორისო ბანკი.

საერთოთ კომისიის პროექტი მოასწავებს საერთაშორისო ფინანსიურ კაპიტალისათვის გერმანიის მთელი სიმდიდრეების გადაცემას.

ლონდონი. 31 მარტი. იმ გეგმის მიხედვით, რომელიც შემუშავებულია ექსპერტთა კომისიის მიერ, გერმანიამ მისთვის მინიჭებულ 4 წლის მორატორიუმის ვადის გათავების შემდეგ, რომელ ვადაშიაც განზრახულია გერმანიის რკინის გზებისაგან 1.300.000.000 ოქროს მარკის მიღება, უნდა გადაუხადოს სარეპარაციო კომისიას მეოთხე წლიდან დაწყებული 46 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 660 მილ. ოქრ. მარკა.

იმ შემთხვევაში, თუ რკინის გზების მოგება არ იქნა საკმარისი, რკინის-გზების საკავშირო სამმართველო ავტომატიურად იჭერს რკინის-გზების მთავარ მმართველის ადგილს, და მას ენიჭება უფლება გაადიდოს რკინის გზების ტარიფი დეფიციტის დასაფარავად.

რა ხდება ინგლისში

გაფიცვის ტალღა

ლონდონი. 31 აპრილი. ლონდონის ყველა რაიონებში გაიმართა მიტინგები იმ პირობების განსახილველად, რომელიც მწარმოებლებმა წაუყენეს ტრამვაის მოსამსახურეებს. ტრანსპორტის კავშირის წინამძღოლები და ტრედ იუნიონების კონგრესის საგანგებო კომისია ურჩევენ მუშებს მიიღონ მწარმოებელთა პირობები.

2 მილიონი და 250 ათასი მუშის ხმა.

ლონდონი. 31 მარტი. შავ ხამუშაოზე მყოფ მუშათა კავშირი მოითხოვს ხელფასის 10 შილინგით გადიდებას კვირაში არაკვალიფიციურ მუშებისათვის.

„დეილი გერალდის" ანგარიშით, ამჟამად ინგლისში ხელფასის გამო მომხდარ კონფლიქტში მონაწილეობას იღებს 2.250 000 მუშა.

მდგომარეობა საფრანგეთში

ფურავს აუხვევს თვალებს.

პარიზი. 31 მარტი. პალატამ მიიღო პუანკარეს დეკლარაცია თავშესაკავებლად. კომუნისტები, სოციალისტები, რადიკალების დიდი ნაწილი და მემარცხენე პარტიები დეკლარაციის კითხვას ირონიულ რეპლიკებით აწყვეტინებდენ.

დეკლარაციას გულგრილად შეხვდნენ

ლონდონი. 1 მარტი. პუანკარეს დეკლარაცია მიღებულ იქნა დეპუტატთა პალატის მიერ გულგრილად.

პარიზი. 1 აპრილი. სამინისტროს დეკლარაციას დეპუტატთა პალატა გულგრილად შეხვდა. დეკლარაციის ადგილი, რომელიც შეეხება კოლონიალურ პოლიტიკას, ხუთჯერ იქნა შეწყვეტილი სარროს და სხვების ხმებით ისე, რომ პუანკარე ვერ ახერხებდა ფრაზის დასრულებას. უმრავლესობა ტაშის ცემით შეხვდა მხოლოდ იმ ადგილს, რომელიც შეეხება რურს და კონტრიბუციას.

წყალდიდობა ევროპაში

პოლონეთი

ვარშავა 31 მარტი. ვისლამ გაარღვია კალაპოტი კურორტ უხელიკის ახლო და დაფარა მთელი ქალაქი წყალი მეორე სართულამდი აღწევს. მცხოვრებლები ნაწილობრივ გადარჩნენ გაქცევით, ნაწილობრივ სახურავზე ცხოვრობენ. მიმოსვლა ქალაქთან შეწყვეტილია.

ესპანეთი

პარიზი 31 მარტი. წყალმა დაფარა ქალაქები კარდოვა, ტოლედო და პადაიოსი. რკინისგზით მიმოსვლა შეწყდა. მცხოვრებლები გარბიან ზარალი დიდია.

წითელი ტელეგრაფი

რუსეთი

დახმარება დატუსაღებულ რევოლუციონერებს.

მოსკოვი. 1 აპრილი. რევოლუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის ცეკას პლენუმზე გამოირკვა, რომ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში რევოლუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის წევრთა რიცხვი საბჭოთა კავშირში სამჯერ გაიზარდა და ეხლა უდრის ერთ მილიონ კაცს. ყოველთვიური შემოსავალი უდრის 100.000 მანეთს.

პოლონეთში ამჟამად 4.000 პოლიტიკური პატიმარია, ბულგარეთში—3.000.

ცანკოვის მთავრობის ამნისტია არ შეეხებია კომუნისტებს და გლეხთა კავშირის წევრებს.

იტალიაში პატიმართა მდგომარეობა ისევ აუტანელია. დატუსაღებათა რიცხვი ეხლა მცირეა, რადგან იტალიის ფაშისტები ხოცავენ თავის მოწინააღმდეგეებს.

ინდივიდუალურ წევრობაზე გადასვლა

მოსკოვი. 1 აპრილი. მოსკოვის ქალაქის პროფკავშირთა საბჭოს ცნობებით, მოსკოვში პროფკავშირთა 485 000 წევრებიდან 68 პროცენტი გადავიდა ინდივიდუალურ წევრობაზე.

ფულის რეფორმა

ექსპორტის გადიდება

გლეხთა სესხის გავრცელება.

მოსკოვი. 2 აპრილი. ფინანსთა სახ. კომისარიატმა მოახდინა განკარგულება გლეხთა სესხის გავრცელების შესახებ შემნახავ კასების საშუალებით, სადაც იწარმოებს სესხზე წინასწარი ხელის მოწერა. ფოსტა-ტელეგრაფის რკინისგზებას კასებში გაიყიდება გლეხთა სესხის ობლიგაციები. შემნახველ კასების მთავარმა სამმართველომ მოახდინა განკარგულება ყველა შემნახველ კასების მიერ სესხის ობლიგაციების უფასოდ შესანახად მიღების შესახებ.

სახელმწიფო ბანკის ბალანსის გადიდება.

მოსკოვი. 2 აპრილი. სახელმწიფო ბანკის ხაზინის ბალანსი პირველ აპრილისათვის გაზრდილია 1.400.000 ჩერვონეცით. უკანასკნელის რიცხვი ამჟამად უდრის 34,700,000 ჩერვონეცს. გამოშვებული ჩერვონცები უზრუნველყოფილია პირველხარისხოვან განძეულობით ოთხჯერ მეტად, ვიდრე ამას მოითხოვს ხაზინის კანონი.

კერძო კაპიტალის როლი მრეწველობაში.

მოსკოვი 2 აპრილი. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ეკონომიურ კვლევა-ძიების კომისიამ დაადგინა, იმის გამო, რომ მრეწველობაში კერძო კაპიტალის როლის შესახებ ცნობები არ არის სრული და ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მოხდეს ადგილობრივ ამ საკითხის სპეციალურად შესწავლა სპეციალური ანკეტით, რომელიც ახლო მომავალში გაიგზავნება ადგილებზე.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მდგომარეობა.

მოსკოვი. 2 აპრილი. სახელმწიფო გეგმათა სამმართველოში მოსმენილ იქნა ამხ. გრომანის მოხსენება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ მიმდინარე საოპერაციო წლის პირველ ნახევარში. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მიუხედავად დათესილ არეს 20 პროც.-ით გადიდებისა, ხორბლის საერთო მოსავალი შემცირებულა 4—7 პროც.-ით, რაც ანაზღაურებულია სასოფლო მეურნეობის სხვა პროდუქტების მოსავლით. ბოლოსდაბოლოს სასოფლო მეურნეობის პროდუქცია გასულ ნახევარი წლის განმავლობაში 10—15 პროცენტით მეტია შარშანდელზე.

მტკიცე ვალიუტაზე გადასვლა შეფერხებულია სუროგატ ფულის კრიზისით, რომელიც ჩქარა იქნება დაძლეული. მტკიცე ვალიუტაზე გადასვლის გამო, მთელი ფულის ღირებულება ჩერვონცებით გაიზარდა 110 მილიონი მანეთით წარსული წლის 1 იანვრისათვის და 433 მილიონით მიმდინარე წლის 1 მარტისათვის.

საგარეო ვაჭრობაში ექსპორტი გაიზარდა 4-ჯერ წარსულ წელთან შედარებით. გატანილია 140 მილიონი ფუთი პური, შარშან კი გატანილი იყო ხულ 40 მილიონი. იმპორტი ერთ დონეზეა.

მრეწველობის დარგში შემჩნეულია დიდი პროგრესი. წარმოება (დამახინჯებულია) წარსული წლის იმავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა თითქმის ორჯერ ჩერვონცებში. საბირჟო საბითუმო საქონლის ბრუნვა გაიზარდა ჩერვონცებით 170 პროცენტით. მსხვილ მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი გაიზარდა 15 პროცენტით, ხელფასი—40 პროცენტით.

პროფესორ ოგანოვსკის მოხსენებიდან 1924 წ. მოსავლის პერსპექტივების შესახებ, გამოირკვა, რომ შემოდგომის ნათესების საერთო არე უნდა გაიზარდოს 5—6 პროცენტით, საგაზაფხულო ნათესების—10—12 პროცენტით. მოსალოდნელია ქერის, ხორბლის, სელის და სხვ. ნათესების არეს მნიშვნელოვანი გადიდება. აგრეთვე მოსალოდნელია საქონლის მოშენების განვითარება 20—30 პროცენტით. იქ, სადაც სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენად დაწესებულია შეღავათები, გლეხებმა შეიძინეს ამ იარაღების საჭირო მარაგი.

რუსეთის კომპარტიის ცეკას პლენუმი

ყრილობის დღის წესრიგი.

მოსკოვი. 2 აპრილი. 31 მარტს გაიხსნა რუსეთის კომპარტიის ცეკას პლენუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრებმა. მთავარ საკითხებს, რომლებიც დასმული იყო პლენუმის დღის წესრიგში, შეადგენდენ: ფულის რეფორმის მსვლელობა, ინგლისთან მოლაპარაკება, სამხედრო უწყების შესახებ, სამომხმარებლო კოოპერაცია და შინაური ვაჭრობა; ყრილობის დღის წესრიგის საკითხები: წარმომადგენლობის ნორმა მე-13-ე ყრილობაზე, ახალ მიღებულ წევრების ხმის მიცემის უფლების შესახებ ყრილობის არჩევნებზე, ცენტრალური საკონტროლო კომისიის შემადგენლობა და მომავალი მუშაობა, „ლენ-გოლდფილდის" კონცესიის შესახებ, საინფორმაციო ცნობა ცეკას წევრების ადგილებზე გამგზავრების და კომინტერნის შესახებ.

ინგლისის რეზოლუცია.

ინგლისთან მოლაპარაკების საკითხის შესახებ პლენუმმა მოისმინა საკავშირო დელეგაციის თავმჯდომარის მოხსენება და დაადგინა: მოწონებულ იქნეს გადაწყვეტილებები, რომელიც მიღებულია პოლიტბიუროს მიერ რუსეთ-ინგლისის მოლაპარაკების გამო.

წარმომადგენლობის ნორმა მე 13-ე ყრილობისათვის. მეცამეტე ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმის საკითხის შესახებ პლენუმმა დაადგინა: 1) გადამწყვეტი ხმის უფლება მიეცეს რუსეთის კომპარტიის ყველა კანდიდატებს მეცამეტე ყრილობის დელეგატების ასარჩევად. 2) დარჩეს წარმომადგენლობის ძველი ნორმა—ერთი დელეგატი ათას ამომრჩეველზე. ეს გადაწყვეტილება წარედგინება საბოლოოდ დასამტკიცებლად მე-13 ყრილობას.

ფულის რეფორმის მსვლელობის შესახებ

ფულის რეფორმის მსვლელობის საკითხის შესახებ პლენუმმა მოხსენების მოსმენის შემდეგ დაადგინა: 1) დაევალოს პოლიტბიუროს მიიღოს მხედველობაში აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა პლენუმის სხდომაზე, ფულის რეფორმის გასატარებლად. 2) წინადადება მიეცეს შრომის და თავდაცვის საბჭოს თვეში ერთხელ გამართოს გაერთიანებული სხდომა საოლქო ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად, დასვას ამ თათბირების დღის წესრიგში სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს საკონიუნქტურო მიმოხილვა, ხოლო საკონიუნქტურო მიმოხილვის გარჩევის შემდეგ, მასთან დაკავშირებით ფულის რეფორმის გატარების კონკრეტიული საკითხები.

3) დაევალოს შრომის და თავდაცვის საბჭოს გადასჭრას პირველი ასეთის თათბირის მოწვევის ვადის საკითხი, გაგზავნოს ამისათვის დეპეშით თავისი პროექტი ვადის შესახებ და გაითვალისწინოს ამის შესახებ გამოთქმული აზრები. 4) დაევალოს პირველ ასეთ თათბირს შრომის და თავდაცვის საბჭოსთან განიხილოს საკითხი ოლქებს შორის საშუალების დანაწილების შესახებ.

საბჭოთა კავშირის რევოლუციონურ-სამხედრო საბჭოს მოხსენება.

სამხედრო უწყების საკითხის შესახებ პლენუმმა, მოისმინა რა საბჭოთა კავშირის რევოლუციონურ-სამხედრო საბჭოს მოხსენება, მიიღო შემდეგი დადგენილება: ცეკას პლენუმი იწონებს იმ მუშაობას, რომელიც გაუწევია კავშირის რევოლუციონურ-სამხედრო საბჭოს წითელი არმიის ნორმალურ ცხოვრების პირობებზე და მუშაობაზე გადასვლის მხრივ; კერძოთ პლენუმს სავსებით სამართლიანად მიაჩნია 1902 წელში დაბადებულთა გაწვევის დანიშვნა მიმდინარე წლის გაზაფხულზე. იწონებს რა რეფორმას, რომელიც გატარებულია რევოლუციონურ-სამხედრო საბჭოს მიერ სამხედრო უწყების მმართველობის და აპარატის რეორგანიზაციის და გამარტივების დარგში, პლენუმი განსაკუთრებით ხაზს უსვამს გაბედულ ნაბიჯების სისწორეს, რომელთა გადადგმა განზრახული აქვს სამხედრო უწყებას იმ მხრივ, რომ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არმიაში როგორც სამყოფრო ნაწილებში, ისე შტაბებში, წამოყენებული იქნეს პარტიული საკომანდო და ადმინისტრატიული შემადგენლობა.

პლენუმს აუცილებლად მიაჩნია, რომ მომავალშიაც ხდებოდეს წითელი არმიის შევსება კომუნისტებით და ავალებს საორგანიზაციო ბიუროს მიიღოს სათანადო ზომები. პლენუმი იწონებს სამხედრო უწყების ღონისძიებებს სამილიციო აღმშენებლობის უფლებების შემდეგი გაფართოების საქმეში, რაც გამოიხატა მთელ რიგ ახალ ტერიტორიალურ დივიზიების შექმნაში.

იმ როლის მნიშვნელობის გამო, რომელიც ამიერიდან ენიჭება ტერიტორიალურ ნაწილებს ჩვენი სამხედრო აღმშენებლობის საერთო სისტემაში, პლენუმი აუცილებლად სცნობს, რომ პარტიის ყველა ორგანიზაციებმა უშუალო და აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ მუშაობაში, რომელიც მიმართულია ტერიტორიალურ ნაწილების შექმნასა და მომზადებისაკენ; პარტიული ორგანიზაციების მონაწილეობა განსაკუთრებით საჭიროა იმ მუშაობაში, რომლის მიზანია მოსახლეობის ჯარში გაწვევამდი მომზადება, ეს კი საფუძველია მთელი სამილიციო აღმშენებლობის. პლენუმი ხაზს უსვამს

იმ განსაკუთრებულ მნიშვ
რომელსაც იღებს სამილ
მშენებლობის დარგში წარ
მუშაობა. ამ შემთხვევაში,
ტაა ამ საქმეს მიაქცევს ს
ყურადღებას, სამილიციო ა
ლობა გამოიწვევს მუშაო
მოების სოფლად. ტერიტო
რი ნაწილების შექმნა გახდ
ჭოთა სახელმწიფოს და გ
დაკავშირების ერთ ერთი
ბით ფორმათ.

იწონებს რა სამხედრო უწ
ნისძიებებს აღრიცხვის და
არმიის აღმშენებლობაში ერ
მომენტების გამოყენების
კერძოთ კი სამხედრო ნაწ
პოლიტიკურ-კულტურულ და
ნათლებელ მუშაობის მშობლი
ბზე დაყენების საქმეში, პლენ
ცილებლათ სთვლის ამ მუშაო
დეგ გაფართოვებას და გაძლ
პლენუმი ამასთანავე აღნიშნა
სამხედრო აღმშენებლობის მ
ლოვან მიმდინარე ამოცანათ
გახდეს წითელი არმიის მატე
რი მდგომარეობის გაუმჯობე

პლენუმი სავსებით იწონებ
შირის რევოლუციონურ სა
საბჭოს გადაწყვეტილებას იმ
სახებ, რომ ის გადარჩენილი
ბი, რომელიც მიღებული ი
ხალხო კომისარიატების ხარ
რიცხვის მიხედვით წარმოებ
დაჯგუფებისა და აპარატის
რების შემდეგ, მოხმარდეს
არმიის მატერიალური მდგო
ბის გაუმჯობესებას, კერძოთ
სი უმცროს და საშუალო საკ
ადმინისტრატიულ და სამ
შემადგენლობის მდგომარეობი
ჯობესებას. ამასთანავე პლენ
ქიროთ სთვლის არმიის მ
ლური მდგომარეობის შემდეგ
ჯობესებას ქვეყნის საერთო
სიურ მდგომარეობასთან შეფ
ბით და წინადადებას აძლევს
დრო რევოლუციონურ საბჭოს
მუშავოს გეგმა შემდეგი ღონი
ბისა ამ მიმართულებით.

ჩვენი კოოპერაცია

საუბარი ამხ. ხინჩუკთან.

მოსკოვი. 1 აპრილი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ხინჩუკმა, რომელიც ეხლახან დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან, განაცხადა, რომ ცენტროსოიუზის მუშაობამ, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირის საექსპორტო გეგმის შესრულება, დიდი როლი ითამაშა გასულ საოპერაციო წელში. სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ საზღვარგარეთ გატანილია სელის ქსოვილების მთელი ექსპორტის 35 პროც. და ბეწვეულის 40 პროც. საბითუმო შესყიდვის ინგლისის საზოგადოებასთან დადებულია ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ჩვენ მას უნდა მივაწოდოთ 25,000 კასრი ზეთი.

იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობას აწარმოებდა საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენლობა საერთაშორისო კოოპერატიული გაერთიანების აღმასკომის და ცენტრალური კომიტეტის სხდომებზე პრაგაში, ამხ. ხინჩუკმა განაცხადა, რომ ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში მთავრობის დამოკიდებულება კოოპერაციისადმი არ არის ხელსაყრელი. ერთად ერთი ქვეყანა, სადაც მთავრობა დახმარებას უწევს კოოპერაციას, არის საბჭოთა რუსეთი. საერთაშორისო კოოპერატიული გაერთიანების აღმასკომში დასმული იყო მთელი რიგი ისეთი საკითხები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ და რუსეთის კოოპერაციის დელეგატები იძულებული იყვნენ დაეცვათ თავისი თვალსაზრისი, რაც წარმატებით იყო შესრულებული.

საბჭოთა დელეგაციის გამოსვლას შედეგად მოჰყვა საპროტესტო დეპეშის გაგზავნა ბულგარეთის კოოპერატიული ორგანიზაციის „განთავისუფლება"-ს დახურვის წინააღმდეგ. შემდეგ, სხდომაზე დასწრების უფლება წაერთვა საქართველოს კოოპერაციის გაერთიანების წინანდელ წარმომადგენელს ემიგრანტ გუგუშვილს და მოხსნილი იქნა საკითხი 2 ნხ. ინტერნაციონალთან დ
დებულების შესახებ.

საბჭოთა კოოპერაციის დე
ცია კმაყოფილია პრაგაში
შედეგებით, რადგან ყველა ს
ხებში მას შეუერთდენ ჩეხო
კიის დელეგატები და, ნაწილ
ავსტრიის, შვეიცარიის და სხვ
ყნების წარმომადგენლები.

პარტიული ცხოვრება

მოდიან პარტიაში

არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების მიერ შემოტანილია რაიკომში განცხადებები კომუნისტურ პარტიის რიგებში ჩარიცხვის შესახებ.

არსენალის რაიკომი სთხოვს ამხანაგებს და იმ პირებს, რომელთაც აქვთ რაიმე მამხილებელი საბუთი ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების წინააღმდეგ შემოიტანონ ასეთები რაიკომში (პლეხანოვის პრ. № 96)

1) არშაკ აივაზოვი, 2) სი
ბიბერუიანცი, 3) ამბარცუმ გ
კიანი, 4) სარდიონ გორგაძე
ვარტკეჰ კარაპეტიანი, 6) გ
კაციევი, 7) გიორგი კოლხიდო
ალექსანდრე ნოვიკოვი, 9) ლ
სარიევა, 10) სოკრატ საკოვი,
მიკირტიჩ ტოხსანოვი, 12) ივანე
ნიევი, 13) ოგანეს ცადრაშვილი
14) ვარტანუშ ხაჩიკიანი—„გ
ოდელდე"-ს მუშები; 15) გიორგი

ფული და ფულის პრობლემები

ფულის პრობლემა—უდიდესი ეკონომიური პრობლემაა. ის ჩაქსოვილია ყოველგვარ ეკონომიურ მოვლენებში. აი ამით აიხსნება ის, რომ რყევა ვაჭრობა მრეწველობაში აუცილებლათ იწვევს რყევას ფინანსიურ სფეროში და რყევა ფინანსიური ასეთივე გავლენას ახდენს ვაჭრობა-მრეწველობაზე.

საქონლის რაოდენობის შემცირება, მისი სიძვირე, მისი ტრიალის (ალებ-მიცემის) ტემპის შესუსტება და სხვა—ერთის მხრით; ფულის გაძვირება ან მისი რაოდენობის გადიდება და ამასთან ერთად მისი სყიდვითი უნარის შემცირება, ფულის საუკეთესო ნიშნების ტრიალიდან გაცლა და ფულის უარესი ნიშნების მოზღვავება (ინფლაცია)—მეორეს მხრით, აი ის ფინანსიური მოვლენათა ჯამი, რომელთა შორის არსებობს მტკიცე დამოკიდებულება, მაგრამ ყველა ამ ფრიად რთულ მოვლენებს საფუძვლათ აქვს ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, მისი წარმოება და ვაჭრობა, რასაკვირველია თუ ეს ქვეყანა არ არის მონაკოს ტიპის, რომლის კეთილმდგომარეობა რულეტკის მუშაობაზეა დამყარებული. ამიტომ ფინანსიურ პრობლემის კვლევაში მთავარი საკითხია—ეროვნული შემოსავლის საკითხი და ამ შემოსავლის დამოკიდებულება ბიუჯეტთან.

თუ ყველა ამ კითხვებს ჩვენ არ გაუმკლავდით, თუ ეს რთული, ერთიმეორეზე გადახლართული ეკონომიურ ფინანსიური მოვლენები, პოლიტიკური მომენტებით კიდევ უფრო გართულებული, მეთოდიურათ არ დავანაწილეთ და არ შევისწავლეთ, ისე პასუხს ვერ გავსცემთ დღევანდელ საჭირბოროტო კითხვებზე. მაგრამ თანამედროვე პირობებში ამ შესწავლის არე არ განისაზღვრება საქართველოს და ამიერკავკასიის ტერიტორიით; ჩვენი ფინანსიური პრობლემა გაერთიანებულია რუსეთ უკრაინა-ბელორუსიის ფინანსიურ პრობლემებთან; ჩვენ მათთან გვაქვს ერთი ფინანსიური პრობლემა, მათთან საერთო ფულის ნიშანი, ერთი ემისია და საერთო საფინანსო და სავაჭრო პოლიტიკა.

ასეთ პირობებში საქართველოს ფინანსიური პრობლემა უფრო რთულდება, და ჩვენ ვალდებული ვართ ეს საკითხი გავარჩიოთ ამ ფართო ფარგლებში; მაგრამ საჭიროა წინასწარ გავაცნოთ ქართველ მკითხველს ზოგიერთი ძირითადი ფინანსიური კითხვები, რომელთა შესახებ ქართულად ძალიან ცოტა რამ დაწერილა და მათთან გაცნობა კი აუცილებელია, რომ ფულის პრობლემების გამოკვლევაში ადამიანი არ დაიბნეს.

ვერ გაერკვევა მკითხველი ფულის ტრიალის კანონებში, კრედიტის კითხვებში, ბანკის სხვადასხვაგვარ ოპერაციებში, ფულის და საქონლის ურთიერთობაში, მათი ღირებულების და ფასების ცვალებადობაში, საერთოთ ფინანსიურ პრობლემებში, თუ მან არ იცის რა არის ფული, როგორია მისი თვისებები, რაზე ეყრდნობა ფულის სხვადასხვა სურროგატები და როგორ სწარმოებს ფინანსიური ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნებს შორის.

აი ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია საჭიროთ, რომ ყველა ამ კითხვებს მოკლეთ წინასწარ შევეხოთ და იმდენათ გამოვიკვლიოთ, რამდენათაც ასეთი გამოკვლევა აუცილებელია იმისათვის, რომ მკითხველმა შემდეგ შესძლოს კრიტიკულათ, შეგნებულათ აწონ-დაწონოს ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა და ის ანალიზი ამ მდგომარეობისა, რომელსაც ჩვენ და სხვები მას მიაწვდის.

ფული

I

მარქსისტული თვალსაზრისით ოქროს ფული იგივე საქონელია. სხვა საქონლისაგან ის იმით განსხვავდება, რომ მუდამ ბრუნვის სფეროში რჩება და მუდამ მოძრაობაშია ან ემზადება მოძრაობისათვის. გამოჩნდება თუ არა ბაზარზე საქონელი, ფული ვალდებულია მას დაუპირდაპიროს თავისი ღირებულება, რომ საქონელი გადავიდეს გამყიდველიდან მყიდველის ხელში. ასე საქონლის მოძრაობა იწვევს ფულის მოძრაობას.

ამ ალებ-მიცემის პროცესში საყურადღებო მომენტებია: 1) საქონლის რაოდენობა ბაზარზე; 2) მისი ტრიალის ტემპი და 3) მთავარ საგნების ფასები.

საქონლის ტრიალის ტემპი განსაზღვრულ ხანაში გამოიხატება იმაში, თუ რამდენჯერ დატრიალდა ამავე დროს ფულის განსაზღვრული რაოდენობა, მაგალითად: ივანემ სიმინდის ფასად გიორგისაგან აიღო ასი მანეთი; ივანემ ას მანეთად კოწიასაგან ცხენი იყიდა; კოწიამ ას მანეთად იყიდა ტანისამოსი; მკერვალმა იყიდა ასი მანეთის ფართალი; მეფართლემ ას მანეთად იყიდა ოქროს საათი. ყველა ეს ალებ-მიცემა მოხდა ერთი დღის განმავლობაში: ასი მანეთი ხუთჯერ დატრიალდა და ხუთასი მანეთის მაგივრობა გასწია. თუ ბაზარზე საქონელი საკმარისია, თუ მისი გადაზიდვა გაძნელებული არაა, თუ მოსახლეობას ყიდვის შეძლება აქვს და კრედიტის საქმე მოწესრიგებულია, მაშინ საქონელი და ფული ერთიმეორეზე დიდის სისწრაფით იცვლება; ალებ-მიცემის ციებ-ცხელება ძლიერდება და საქონელი და ფული თანდათან მეტის სისწრაფით მიექანება ერთი მეორის წინააღმდეგ მიმართულებით.

ზევით მოყვანილი მაგალითი კიდევ ერთ რამეს გვიმტკიცებს, და ეს რამე—მთავარია. მოყვანილ მაგალითში ბაზარზე ერთს დღეს ხუთასი მანეთის საქონელი გაიყიდა და ერთი ას მანეთიან საქონელზე (ფულზე) ხუთჯერ გაიცვალა; ამნაირად ამ პირობებში საკმარისი ყოფილა ერთი ასიანი ხუთასი მანეთის საქონლის დასატრიალებლათ.

ეს მაგალითი გვითვალისწინებს, თუ **რამდენი ფულია საჭირო, რომ ბაზარზე განსაზღვრულ ღირებულების სხვა და სხვა საქონელი განსაზღვრულ ვადაში გასაღდეს.** ამ ფულის რაოდენობის გამოსარკვევად საჭიროა მთელი გაყიდული საქონლის ფასების საერთო ჯამი გავყოთ ერთი და იგივე ღირსების ფულის დატრიალების რიცხვზე. ბაზარზე იყო ხუთასი მანეთის საქონელი, რომლის განაღდების დროს ერთი და იმავე ღირებულების ფულმა ხუთჯერ გამოიცვალა ადგილი. 500 მან. გავყოთ ფულის დატრიალების რაოდენობაზე—5 ზე და მივიღებთ ას მანეთს.—ამნაირად ხუთასი მანეთის ღირებულების საქონლის გასანაღდებლად საჭიროა ასი მანეთი, თუ ფული ამ განაღდებისათვის ხუთჯერ დატრიალდება. „ამ კანონს,—ამბობს მარქსი,—საყოველთაო მნიშვნელობა აქვს" (კაპიტალი, ტ. 1, გვ. 84).

განსაზღვრულ პერიოდში ტრიალის პროცესი თითოეულ ქვეყანაში წარმოადგენს ერთის მხრით მრავალ განკერძოებულ ერთდროულს პარალელურს ყიდვა-გაყიდვას, როდესაც ერთი და იგივე ფულის ნიშანი მხოლოდ ერთჯერ იცვლის ადგილს ანუ მხოლოდ ერთჯერ დატრიალდება; მეორეს მხრით იგივე პროცესი არის ჯამი (совокупность) მრავალი პარალელურის, თუ ერთიმეორესთან გადახლართული ყიდვა-გაყიდვის, რომელშიაც ერთი და იგივე ფულის ნიშანი რამოდენიმეჯერ დატრიალდება. „საერთო რიცხვი ტრიალის ყველა ერთი და იგივე სახელწოდების ფულისა, რომელიც ტრიალშია, გვიჩვენებს ცალ-ცალკე ფულის საშუალო ტრიალის რიცხვს", ამბობს მარქსი (იქვე, გვ. 84).

ამ პროცესში თითოეულ ფულის ნიშანის მეტ-ნაკლებ სისწრაფით ტრიალს აქვს გავლენა მეორე ფულის ნიშანზე. „თუ ერთი მათგანის ტრიალის სისწრაფე მატულობს, მაშინ მეორე ფულის ტრიალის სისწრაფე მცირდება. ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი შეიძლება ტრიალის სფეროდან სრულიადაც გამოვარდეს, რადგან ამ სფეროს შეუძლია მხოლოდ იმდენი ოქროს მონელება, რომელიც გამრავლებული მისი ნაწილების ტრიალის საშუალო რიცხვზე შეადგენს თანხას, რომელიც უდრის გასანაღდებელ საქონლების ფასების ჯამს. ამიტომ,—ამბობს მარქსი,—თუ ფული უფრო სწრაფად ტრიალებს, მისი რაოდენობა კლებულობს, თუ უფრო ნელა ტრიალებს, მისი რაოდენობა მატულობს" (იქვე, გვ. 85).

ფულის სწრაფი ტრიალი გამოხატავს საქონლის ერთ მეორეზე სწრაფ გაცვლას და საქონლის სწრაფ ტრიალს; ფულის ტრიალის შენელება კი ნიშანია საქონელთა მოძრაობის შესუსტებას.

„საერთო რაოდენობა ფულებისა, რომელიც განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ხმარებაშია, როგორც ბრუნვის საშვალება ერთის მხრით დამოკიდებულია ბრუნვაში მყოფ საქონლის მთელი ჯამიდან და მეორეს მხრივ ბრუნვის პროცესების ურთიერთ წინააღმდეგ მიმართულ ნაკადის მეტი თუ ნაკლები სისწრაფისაგან; ნაკადის სისწრაფეზეა დამოკიდებული ფასების საერთო ჯამის თუ რომელი ნაწილის რეალიზაცია შეიძლება ერთი და იგივე ფულის საშუალებით. მაგრამ თვით საქონლის ფასების ეს ჯამი დამოკიდებულია როგორც მასის, ისე საქონლის თითოეული სახის ფასისაგან. ეს სამი ფაქტორი—ფასების მოძრაობა, ბრუნვაში მყოფ საქონლის მასა და ფულების ბრუნვის სისწრაფე—შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა მიმართულებით და სხვადასხვა შეფარდებით; ამიტომ ფასების ის ჯამი, რომელიც განაღდებული უნდა იქნეს და, მაშასადამე, მასზე დამოკიდებული ბრუნვის საშვალებათა მასა იცვლება ძლიერ ფართე ფარგლებში"—ამბობს მარქსი და შემდეგ განმარტავს სამ შემთხვევას.

1. „იმ შემთხვევაში, როცა საქონლის ფასები არ შეცვლილა ბრუნვის საშუალებათა მასა შეიძლება გაიზარდოს თუ იზრდება ბრუნვაში მყოფ საქონლის მასა ანდა მცირდება ფულების ბრუნვის სისწრაფე, ანდა ეს ორივე მოვლენა ერთად მოქმედებს. პირიქით, ბრუნვის საშვალებათა მასა შეიძლება შემცირდეს თუ მცირდება საქონლის მასა ანდა მატულობს მისი ბრუნვის სისწრაფე".

2. „ფასების საერთო გადიდების დროს ბრუნვის საშუალებათა მასა შესაძლოა უცვლელი დარჩეს, თუ ბრუნვაში მყოფ საქონლის მასა შემცირდება იმავე რაოდენობით, რამდენითაც გაიზარდა მისი ფასი, ანდა ფულის ბრუნვის სისწრაფე იზრდება ფასების ზრდასთან შეფარდებით, და ამ შემთხვევაში ბრუნვაში მყოფ საქონლის მასა უცვლელი რჩება. ბრუნვის საშუალებათა მასა შეიძლება შემცირდეს, თუ მცირდება საქონლის მასა ანდა ბრუნვის სისწრაფე იზრდება უფრო ჩქარა, ვიდრე საქონლის ფასები".

3. „ფასების საერთო დაწევის დროს ბრუნვის საშუალებათა მასა შეიძლება უცვლელი დარჩეს თუ საქონლის მასა გაიზრდება იმავე რაოდენობით, რამდენითაც დაიწია მისი ფასი ანდა თუ ფულის ტრიალის სისწრაფე მცირდება იმავე რაოდენობით, როგორც ფასები. ბრუნვის საშუალებათა მასა შეიძლება გაიზარდოს, თუ საქონლის მასა იზრდება ანდა ბრუნვის სისწრაფე მცირდება უფრო ჩქარა, ვიდრე იწევს საქონლის ფასები"*).

მიუხედავათ ფასების სხვა და სხვა ფაქტორების ცვალებადობისა, საერთო ჯამი საქონელთა ფასებისა, რომელთა რეალიზაცია უნდა მოხდეს, არ იცვლება და ამიტომ უცვლელად ტრიალში მყოფი ფულის რაოდენობაც. ეს კანონი განსაკუთრებით მართლდება, როდესაც ვიხილავთ ხანგრძლივ პერიოდს, ამიტომ ნორმალურ პირობებში ზედმიწევნით შეიძლება გამოანგარიშება, თუ რამდენი ფული უნდა ტრიალებდეს ამა თუ იმ ქვეყანაში. მარქსი ამბობს: ხანგრძლივ პერიოდის განხილვა გვიჩვენებს, რომ ფულის რაოდენობა, რომელიც ტრიალებს თითოეულ ქვეყანაში, დიდი სიმტკიცეს იჩენს და უფრო მუდმივია მისი რაოდენობის საშუალო დონე, ვინემ ეს გონიათ ზოგიერთ ზერელე მკვლევარს (იქვე, გვ. 87).

როგორც ვიცით, ოქრო იმიტომაა გაცვლის იარაღი, რომ თვითონ არის საქონელი. მაგრამ იმის დასამტკიცებლად, თუ რა ღირებულების მატარებელია ოქრო ფული, მთავრობა მასზედ აღნიშნავს მის ღირებულებას და თავის ბეჭედს აკრავს. ამნაირად სახელმწიფოს ფარგლებში ოქრო ფული მოხელეთ იქცევა და დადის „მუნდირში"; მაგრამ თუ ის უცხოეთიდან შემოტანილ საქონლის ფასად უცხოელს ჩაუვარდა, მას გააქანებენ საზღვარ გარეთ, სადაც ეს ოქრო უკვე მოხელეთ არ ითვლება. იქ მას „მუნდირს" გახდიან და ის უბრალო საქონლათ რჩება, სანამ ახალ სამშობლოში ისევ მოხელეთ არ ჩაირიცხება, ე. ი., სანამ ამ ქვეყნის ფულათ არ გადაკეთდება. მაგრამ მას სულ სხვა ბედი მოელის, თუ მისი სამშობლო საექსპორტო საქონლით მდიდარია და საზღვარ-გარეთ მეტ საქონელს გზავნის, ვინემ უცხოეთიდან შემოაქვს. ამ შემთხვევაში ასეთ ქვეყნიდან გატანილ ოქროს ფულს მეტი პატივით ეპყრობიან, მის ეროვნულ გარეგნობას პატივს ცემენ და მას ეროვნულ „მუნდირში" სტოვებენ. ასეთი ქვეყნის ოქროს ფული უცხოეთში ცოტა ხანი რჩება. ის თავის სამშობლოში მალე ბრუნდება და მის მაგიერ უცხოეთში თანასწორ ღირებულების საქონელი იგზავნება.

თუ რომელიმე ქვეყნის ექსპორტის და იმპორტის ფულით გამოხატულება თანასწორია, მაშინ ასეთ ქვეყანაში ოქრო ფულის რაოდენობა უცვლელად ერთს დონეზე რჩება; მაგრამ თუ რომელიმე ქვეყანას ნაკლები ღირებულების საქონელი გააქვს და მეტის შემოაქვს, მაშინ ოქროს ფული საზღვარგარეთ გაეშურება და ვერავითარი ბრძანება და მექანიკური ღონისძიება ამ ემიგრაციას ვერ შესწყვეტს. ოქროს ფული უცხოეთში გადასახლდება და ადგილს საკუთარ ღირებულებას მოკლებული ქაღალდის „ფული" დაიჭერს. პირიქით, თუ გატანა სჭარბობს შემოტანას, მაშინ სახელმწიფოში ოქროს ფული გროვდება, და საკუთარ მოთხოვნილებისათვის საჭირო ფულზე ზედმეტი ოქრო ქვეყანას საშვალებას აძლევს გააფართოვოს და გააუმჯობესოს თავისი მრეწველობა, შექმნას უკეთესი კულტურული პირობები და სხვა ქვეყნებშიც დაიწყოს ეკონომიური მოღვაწეობა.

მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც ოქროს ფული იმდენათ გაიაფდება, რომ ნივთათ მისი გადაკეთება უფრო ხელსაყრელია. ასეთ მოვლენას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ოქროს ფულის რაოდენობა ზევრად აღემატება ზედ არსებულ მოთხოვნილებას. ამ შემთხვევაში ოქროს ფულის ღირებულება საქონლის ღირებულებასთან შედარებით მცირდება.

ასეთია ოქროს ფული. მისი ფუ ცია იმაში გამოიხატება, რომ ის ალებ-მიცემის პროცესში ლის ძირითადი იარაღი და ის ფულის ფორმას იღებს. ოქ ფული და ოქრო-სხმული (слит ორივე საქონელია და თანასწ ღირებულების მატარებელი და ერ მეორისაგან მხოლოდ გარეგნობით უფლებით განსხვავდება: ოქრო ლის ღირებულებას სახელმწიფო ზით წარწერით და ბეჭედით ამ მებს; ამიტომ ყველა იღებს მას რ გორც მასზედ აღნიშნულ ღირებუ ბის მატარებელს და ყოველგვარ ნაბარ ღირებულების ეკვივალენტს.

მაგრამ, როდესაც ოქრო ფუ სახეს იღებს და ხმარებაში შედ ის თანდათან ცვდება, მისი წ კლებულობს, და მისი ნომინა (წარწერით გამოხატული) და რეა ღირებულება (წონა) ერთი მეორის გან თანდათან უფრო განსხვავდებ ფულის რეალი ღირებულება თანდ თან მცირდება, მაგრამ ის დიდხა კიდევ ტრიალებს, როგორც თავ ნომინალი ღირებულების გამომხატ ველი. მიუხედავათ წონის შემცირე ბისა მთავრობის წარწერის ძ ბით ასეთი ოქროს ფული შინაუ ბაზარზე თავის ძალას არ კარგავ მაგრამ ის სხვადასხვა საქონლის მხ ლოდ ფორმალური საზომია. გაც ლის პროცესში ასეთი ოქრო-ფულ ღირებულების თვალსაზრისით წონას წორობის მოთხოვნილებას, როგორ საქონელი, უკვე არ აკმაყოფილებ ამიტომ ის უცხოეთში, სადაც მა წონით იღებენ, თავის ნომინალი ღი რებულების მატარებელი არაა; მაგრამ თავის სამშობლოში ის, მიუხედავათ მისი წონის შემცირებისა, თავის ჩვეულებრივ სყიდვითი ძალას არ კარგავს. ის რჩება როგორც ნდობით აღჭურვილი მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ ეს ფული წარმომადგენელი და გამომხატველია მასზედ აღნიშნულ ფასის.

აი როდესაც სახელმწიფოში ფულისადმი ასეთი შეხედულობა და ნდობა განმტკიცდება, როდესაც ასეთი ფულის არსებობა ალებ-მიცემისათვის მისაღები და ხელსაყრელია, მაშინ ქაღალდის ფულის ხმარებაში შემოსაღებად ნიადაგი მზადაა და ქაღალდის ფულიც ჩნდება

დ. თ.

---

*) „Общее количество денег, функционирующих в течение данного промежутка времени в качестве средств обращения, определяется с одной стороны суммой цен всех обращающихся товаров и с другой стороны большей или меньшей быстротой потока их противоположно направленных процессов обращения; от быстроты потока зависит, какая часть общей суммы цен может быть реализована при помощи одной и той же монеты. Но сама эта сумма цен товаров зависит как от массы, так и от цены каждого отдельного товарного вида. Эти три фактора—движение цен, масса обращающихся товаров и быстрота обращения денег—могут изменяться в различных направлениях и в различных пропорциях; поэтому подлежащая реализации сумма цен, а, следовательно, и обусловленная ею масса средств обращения варьирует в очень широких пределах", ამბობს მარქსი და შემდეგ განმარტავს სამ შემთხვევას:

1. „При неизменных товарных ценах масса средств обращения может расти, если увеличивается масса обращающихся товаров или уменьшается быстрота обращения денег, или оба эти обстоятельства действуют совместно. Наоборот, масса средств обращения может уменьшаться, если уменьшается масса товаров или возрастает быстрота их обращения".

2. „При всеобщем повышении товарных цен масса средств обращения может остаться неизменной, если масса обращающихся товаров уменьшается в том же самом отношении, в каком возрастает их цена, или быстрота обращения денег увеличивается пропорционально возрастанию цен, при чем масса обращающихся товаров остается постоянной. Масса средств обращения может уменьшаться, если масса товаров уменьшается или быстрота обращения увеличивается быстрее, чем цены".

3. „При общем понижении товарных цен масса средств обращения может остаться неизменной, еси масса товаров увеличивается в том же самом отношении, в каком падает их цена, или если быстрота обращения денег уменьшается в том же самом отношении как цены. Масса средств обращения может расти, если товарная масса растет или скорость обращения уменьшается быстрее, чем падают товарные цены". (კ. მარქსი „კაპიტალი" 1 ტ. გვ. 86—87).

ბინის ახალი ტარიფი

ხელფასის ჩერვონეცით ანგარიშზე გადაყვანის გამო ბინის ქირის ჩერვონეცის გადასაყვანად ქალაქის აღმასკომის გაფართოებულ პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე 1 აპრილს დაადგინა, ქ. აღმასკომის დადგენილების № 42 2, 4, 9 მუხლების შესაცვლელად საბინაო ქირა დაწესებულია შემდეგნაირად.

კატეგორიები	მუშა-მოსამსახურეთა თვიური ჯამაგირი		ნიხრი ჩერვ. მან ცენტრში	ნიხრი ჩერვ. მან გარეუბნებში
1	0	9	0,4	0,2
2	9	18	0,5	0,3
3	18	27	0,7	0,4
4	27	36	1,0	0,5
5	36	45	1,7	0,9
6	45	54	2,0	1,0
7	54	63	2,3	1,2
8	63	72	2,6	1,3
9	72	81	3,4	1,7
10	81	90	3,9	2,0
11	90	99	4,4	2,2
12	99	108	5,0	2,5
13	108	117	6,9	3,5
14	117	126	7,8	3,9
15	126	135	9,0	4,5
16	135	144	10,5	5,2
17	144	153	11,7	5,9
18	153	162	13,0	6,5
19	162	171	14,4	7,2
20	171	180	15,7	7,9
21	180	—	19,5	9,8

დანარჩენი მოქალაქენი, რომელნიც კატეგორიაში არ შედიან, ქირას იხდიან შეთანხმებით; მაგრამ არა უმეტეს 1 მან. 50 კ. კვად. არშინზე ქალაქის ცენტრში.

სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებები, რომელნიც სახელმწ. მომარაგებაზე იმყოფებიან, იხდიან არა უმეტეს 15 კაპ. კვ. არშინზე.

ძირითადი ხელფასის ანგარიში, რომლის მიხედვითაც სწარმოებს ბინის ქირის გადახდა—შედის მომატებაც სიძვირის გამო თუ ამას იღებს მუშა მოსამსახურე, ბინის ქირა გადახდება ა. კ. ფულის ნიშნებით დღის კურსის მიხედვით.

ხიმანდრიტოვი, 16) ოვანეს ოგანჯანოვი, 17) ხაჩატურ ოვანესოვი, 18) არაქელ ვართანოვი, 19) ხეჩო გოზოევი, 20) ოლღა ლევიაშვილი, 21) მიხეილ გუდიევი, 22) მარტინ ჯალალოვი, 23) მარო კაპანაძე, 24) ნიკოლოზ მანასოვი, 25) მურად მურადოვი და 26) მიხეილ ნასყიდაშვილი—კოლოფების ქარხნის მუშები; 27) მიხეილ ოსიპოვი—უჯრედი № 19 ქალაქის ელექტრონის სადგური, 28) სარქის პოლოსიანცი-უჯრედი № 8—12—საქარხნო კომიტეტი, 29) ალექსანდრე სარქისოვი—უჯრედი № 26—ავტოსახელოსნო № 3, 30) ავაკ მხიტარიანი—უჯრედი № 26—ავტოსახელოსნო № 3, 31) გიორგი პსუტური—მეხუთე ტექნიკუმი.

მდივანი მახხულია.

ქ. გორის საბ.-პარტ-სკოლა

1924 წ. 20 მარტს შესდგა გორის პარტსკოლის კურსანტთა კრება. დღის წესრიგში იყო საკითხი რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების შესახებ. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა პარტსკოლის კურსანტმა ვ. გელაშვილმა, რომელიც შეეხო „რემედასს“ დიდ მნიშვნელობას რევოლიუციის მსვლელობაში. მოხსენების დამთავრების შემდეგ, მხურვალე ტაშით მიეგებნენ კურსანტები ახალ რევოლიუც. ორგანიზაციას „რემედასს“ და იქნა ერთხმად გამოტანილი დადგენილება, რომელშიც კურსანტები გამოსთქვამდნენ სურვილს—გახდნენ ამ ორგანიზაციის შეგნებული და აქტიური წევრები. კურსანტები მოუწოდებენ ყველა პარტ-სკოლის კურსანტებს და მუშა მოსამსახურეებს, რომ ისინიც გახდნენ რევ. მებრ. დამხ. ორგანიზაციის წევრები. კურსანტები თავისუფალ დროს ეხმარებიან ღარიბ გლეხებს მიწის დამუშავებაში.

ვ. ცხოვრებაძე

ქ. ოზურგეთის 1-ლი საფეხურის პარტიული სკოლა

აქ ირიცხება 51 კურსანტი, 11 ქალი და 40 ვაჟი. მათ შორის პარტიის წევრნი 21, კანდიდატები 7, ახ. გაზ. კომკავშირის წევრი 19, კანდიდატი 4. მასწავლებლები ჯერ მხოლოდ 3 არის. „არითმეტიკაში“—კვაშალი, რომელმაც ცოტა ხანია, რაც მეცადინეობა დაიწყო. „პოლიტიკურ ეკონომიაში“—გვასწავლის ამხ. თეოფილე ჩიჩუა, რომელიც ამავე დროს არის სკოლის გამგე. ამ მხრივ ის ენერგიულად ასრულებს თავის მოვალეობას და ცდილობს პარტსკოლის წინ დაყენებას; ქართულსა და ბუნებისმეტყველებაში ამხ. ნიკ. დოლიძე, რომელმაც გარეშე ამა სავალდებულო საგნებისა, თავის ხელმძღვანელობით მოაწყო კურსანტებს შორის „დრამატიული წრე“, რომელიც ჯერ, საუბედუროთ, ვერ არის კარგს ნიადაგზე დაყენებული. აგრეთვე ამხ. ნიკ. დოლიძე გვაძლევს განმარტებებს სხვადასხვა საგულისხმიერო საკითხებზე. სკოლაში არსებობს კომიტეტები: ა) კომპარტიისა და ბ) ახ. გაზ. კომკავშირის. აგრეთვე ბიურო სამი კაცისაგან შემდგარი. ესენი თავ-თავიანთ დროზე მართავენ კრებებს (სხდომებს) და არკვევენ ყოველივე საჭირბოროტო საკითხებს კურსანტების ცხოვრებაში.

არის სასადილო, სადაც კურსანტებს ეძლევათ კმაყოფა მოთხოვნილებისამებრ. არის სამრეცხველო, საპარიკმახერო და აბანო, საჭიროების მიხედვით ბინა განათებულია ელექტრონით. ბიუროს დარბაზი გაწყობილია სხვადასხვა სარევოლიუციო და რევოლიუციის ბელადების სურათებით. არსებობს აგრეთვე წიგნთ საცავ სამკითხველო. მოგვდის გაზეთები: „კომუნისტი“ და „სპარტაკი“. კარგი იქნება გამოვიწერდეთ საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალებსაც. მივიღეთ ტანისამოსები: შინელი, საცვლები და ფეხსაცმელები, მაგრამ, რაც უმეტეს და აუცილებელს საჭიროებას შეადგენს — „ბლუზა-შარვლები“ არ მიგვიღია ჯერ, რის გამოც კურსანტები იძულებულნი არიან შინელებში გამოხვეულებმა გაატარონ დღეები თვით სიცხეებშიაც. სკოლაში იმართება „ლიტ-გასამართლებები“ კურსანტების მიერ. ერთი ასეთი იყო გასამართლება „ქრისტინესი“, რომელსაც დაესწრნენ გურ-კომიტეტის წარმომადგენელნი, ლექტორები და სხვა მოქალაქენიც. სასამართლოს განაჩენით ქრისტინე იქნა გამართლებული 2-ის ხმის მიცემით, 1 კი წინააღმდეგი იყო. ბრალმდებლებმა სასამართლოს განაჩენი ვერ სცნეს სამართლიანად და მოითხოვეს ეს საკითხი გადაჭრილიყო დამსწრე საზოგადოების მიერ, ხმის უმრავლესობით, რამაც გამოიწვია მოპირდაპირეთა შორის „დაჯახებათი მწვავე კამათი“. საზოგადოება დაიშალა დემონსტრატიულათ, თავმჯდომარის ნებადაურთველად. მორიგი ლიტერატურული გასამართლება „ვარდუასი“ (სურამის ციხიდან, დანიელ ჭონქაძის) დანიშნულია შაბათს, 29 მარტს. დასასრულ, ჩვენ ოზურგეთის პარტსკოლის კურსანტები დაინტერესებულნი ვართ ვიქონიოთ კავშირი უმაღლეს საფეხურის პარტსკოლის კურსანტებთან სხვადასხვა ქალაქებში, ყოველგვარი ცნობების ერთიმეორისადმი მიწოდებით, რათა ჩვენ კავშირი შევადუღოთ საერთო მუშაობის და მიზნების ნიადაგზე.

კურსანტი ტიტ.

საბჭოთა კურორტებზე

მიაქციეთ ყურადღება ლენინის სახელობის სოხუმის სანატორიუმს

ამხ. ლენინის სახელობის სოხუმის სანატორიუმში (ყოფ. გულრიპში) დიდ უმსგავსოებას აქვს ადგილი. ამას ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინად აღნიშნავდა „ზარია ვოსტოკა“, რის გამოც დანიშნული იყო კომისია მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის ამხ. ჯანაშიას თავმჯდომარეობით. კომისიამ აღმოაჩინა მრავალი ნაკლულოვანებანი, მაგრამ რატომღაც მისი ოქმი არ იყო დაბეჭდილი „ზარია ვოსტოკაში“ სრულიად. ნამდვილი გამოუქვეყნებული ოქმი ინახება საქმეებში.

უმსგავსოებას ისევ აქვს ადგილი—სიბინძურე, უწესრიგობა, სათანადო რეჟიმის უქონლობა, მოსამსახურე პერსონალის დაუდევრობა, ძალიან ცუდი აფთიაქი, ექიმების გულგრილად მოპყრობა, (მაგ. ექიმი ნარიშკინი არასოდეს არ დადის სანატორიუმში, თუმცა ჯამაგირს იღებს) და სხვადასხვა.

ამავე დროს სანატორიუმში 200-დე ავადმყოფია და ყველა ისინი თავიანთ ხარჯზე არიან. სანატორიუმს აქვს თავისი საშუალებანი: ინვენტარი, ბინა და სხვა პირობები ჩინებულია. დანაშაულია, რომ იქ დღემდის საქმე არ არის რიგიანად დაყენებული. დირექტორი ამხ. გუსაკოვი არ შეფერის თავის დანიშნულებას. საჭიროა სასწრაფო ზომები.

ავადმყოფებმა შეიტანეს დასაბუთებული განცხადება ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტში და ასლი რუსეთის კომპარტიის ცეკაში.

ამ დღეებში, ისარგებლეს რა ამხ. მიასნიკოვის და კ. ბახტაძის ჩასვლით, ავადმყოფებმა გააცნეს მათ სანატორიუმის მდგომარეობა: ამხანაგებმა აღუთქვეს ზომების მიღება. ეხლა საკითხი ხელახლა წამოიჭრა.

სანამდე დააყოვნებს საქმის მოგვარებას საკურორტო სამმართველო? ვაქცევთ ამაზე საბჭოთა რუსეთის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის და აგრეთვე ამიერ-კავკასიის ხელისუფლების ყურადღებას. უნდა მოხდეს სასწრაფო გამოძიება, რათა დაკითხულ იქნან ამ ჟამად სანატორიუმში მყოფი ავადმყოფები. გამოძიების დაგვიანება არ მოგვცემს არავითარ შედეგებს, რადგან ავადმყოფების შემადგენლობა იცვლება და ადმინისტრატორები სწრაფად მიჩქმალავენ საქმეს.

საჭიროა ამხ. ლენინის სახელობის სოხუმის სანატორიუმის მდგომარეობის ცოტად თუ ბევრად გაუმჯობესება.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(3 აპრილი)

ჩერვონცები	—	35 000 მილ.
გირვ. სტერლინგ ეფექტ.		28 600 „
„ ჩეკები	—	25 900 „
დოლარი ეფექ.	—	6800 „
„ ჩეკები	—	6400 „
ოსმ. ქაღ. ლირა	—	3500 „
იტალიური ლირა	—	280 „
ფრანგული ფრანკი	—	332 „

ბიულეტენი

ა. კ. სახ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი საგანგებო კომისიისა.

(3 აპრილი)

ოქროს მანეთი 3.500 მილ.

მუშკოოპის ფასები.

(3 აპრილი)

პური 2 ხარ.—192,000 ათასი, ძროხის ხორცი—1.120,000 ათ., ღორის ხორცი—1,216 000 ათ., შაქარი რაფინადი—1.216,000 ათ., შაქარი ფხვნილი—928,000 ათ., ბრინჯი ადდ. 352,000 ათ. კარტოფილი—96,000 ათასი.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(3 აპრილი)

პური 1 ხარ.—400.000 ათ. პური 2 ხარ.—300,000 ათ., ძროხის ხორცი—1,400,000 ათ., ღორის ხორცი—1,500,000 ათ., შაქარი რაფინადი—1,300,000 ათ,. შაქარი ფხვნილი—1,020,000 ათ., ბრინჯი ადდაშის—500,000 ათ., კარტოფილი—160,000 ათასი.

ბირჟის მიწოდება

რუს. ქაღ მანუფაქტურა. მზესუმზირას ზეთი (2 ცისტერნი), ჩაი ცეილონის და ჩინეთის, თუნუქი (ინგლ.) თეთრი, ნაწლევები, სპილენძი (ფურცლოვანი), ტყავის ღვედები, „სახარომტრესტ“-ის პროდ., ხორბლეულობა, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა (ბემის), სახ. მეურნ. საბჭ. საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი „პეტუხ“ და ტუალეტის, ნართავი, ოლიფის ზეთი და სხვ.), „კრაიტორგ“-ის პროდუქცია (ცემენტი, ეტერნიტი და სხვ.), ყავა „მოკკო“, შაბიამანი, განჯის შაბი, გაზეთის ქაღალდი, იტალიური გოგირდი, ფეხსაცმელები (ინგლის.), ოლიფის ზეთი.

ბირჟის მოთხოვნილება.

თუშური მატყლი, ნედლი ტყავეულობა, რუს. მანუფაქტურა, ტეხნიკური ცხიმები, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, სალომასი, პორტლანდიის ცემენტი, ყუბანის ფქვილი, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, გოგირდი, თხილი, ტომრები, ავსტრალიის ქონი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება—უმოქმედობაა.

შავი-ქვის ექსპორტი

ა. წ. თებერვალში გაყიდულია სულ 44 600 ტონა; აქედან გარეცხილი 36.200 ტ., უბრალო—7000 ტ., პეროქსიდი 1000 ტონა და ფენები (пласты) - 100 ტონა. იანვარში გაყიდული იყო სულ 32.500 ტონა; მაშასადამე თებერვლის გასაღება აღემატება იანვრისას 11.800 ტონით. საჭიროა აღინიშნოს, რომ თებერვალში გაყიდულია მხოლოდ 7000 ტონა უბრალო მადანი; ფასები გარეცხილ მადანზე ევროპაში არის 22 პენსიდან 23 ნახევრამდე, ხოლო ამერიკაში, სადაც გაყიდულია ყველაზე მეტი (28 500 ტ.), ფასობს 44 ცენტზე. ფასების მხრივ თებერვალმა მოგვცა მომატება ნახ. პენსი. პეროქსიდი გაყიდულია 45 დოლარათ.

ექსპორტი. იმავე თვეში გატანილია საზღვარ გარეთ 7 გემით 30,858 ტონა; იანვართან შედარებით გატანილია 14,338 ტონით ნაკლები, მაგრამ დატვირთვის ტემპი შემცირებული არ იყო; დიდი ტონაჟის გამო ორი გემი ვერ დატვირთეს თებერვალში და გავიდნენ მარტის პირველ რიცხვებში.

ხარისხის მიხედვით თებერვლის ექსპორტი განაწილდება შემდეგად: უბრალო—21,265 ტონა, გარეცხილი 9,503 ტ, პეროქსიდი 90 ტ. ქვეყნების მიხედვით გატანილია: ინგლისში—6,304 ტ., საფრანგეთში—7,477 ტ. და ამერიკაში—17,077 ტონა.

თებერვლის განმავლობაში ჭიათურიდან გატანილია 3,726 ვაგონი, სულ 2,980,800 ფუთი; ფრახტის თანხა უდრის 163,863 მ. 42 კ.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

(3 აპრილი)

ჩერვ.	ბონით.	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	35.000.000	56 კ.	1.960.000.000
2 კ.	70.000.000	57 კ.	1.995.000.000
3 კ.	105.000.000	58 კ.	2.030.000.000
4 კ.	140.000.000	59 კ.	2.065.000.000
5 კ.	175.000.000	60 კ.	2.100.000.000
6 კ.	210.000.000	61 კ.	2.135.000.000
7 კ.	245.000.000	62 კ.	2.170.000.000
8 კ.	280.000.000	63 კ.	2.205 000.000
9 კ.	315.000.000	64 კ.	2.240 000.000
10 კ.	350.000.000	65 კ.	2.275.000.000
11 კ.	385.000.000	66 კ.	2.310.000.000
12 კ.	420 000.000	67 კ.	2.345.000.000
13 კ.	455.000.000	68 კ.	2.380 000.000
14 კ.	490 000.000	69 კ.	2.415 000.000
15 კ.	525 000.000	70 კ.	2.450.000.000
16 კ.	560.000.000	71 კ.	2.485.000.000
17 კ.	595.000.000	72 კ.	2.520 000.000
18 კ.	630 000.000	73 კ.	2.555 000.000
19 კ.	665.000.000	74 კ.	2.590.000.000
20 კ.	700.000.000	75 კ.	2.625.000.000
21 კ.	735.000.000	76 კ.	2 660 000.000
22 კ.	770.000.000	77 კ.	2.695.000.000
23 კ.	805.000.000	78 კ.	2.730.000.000
24 კ.	840.000.000	79 კ.	2.765 000.000
25 კ.	875.000.000	80 კ.	2.800.000.000
26 კ.	910 000.000	81 კ.	2.835 000.000
27 კ.	945 000.000	82 კ.	2 870.000.000
28 კ.	980 000.000	83 კ.	2.905.000.000
29 კ.	1.015 000.000	84 კ.	2.940.000.000
30 კ.	1.050 000.000	85 კ.	2.975.000.000
31 კ.	1,085 000.000	86 კ.	3.010.000.000
32 კ.	1.120 000.000	87 კ.	3.045 000.000
33 კ.	1.155.000.000	88 კ.	3.080.000.000
34 კ.	1.190.000.000	89 კ.	3.115 000.000
35 კ.	1.225.000.000	90 კ.	3.150 000.000
36 კ.	1.260 000.000	91 კ.	3.185 000.000
37 კ.	1.295 000.000	92 კ.	3.220 000.000
38 კ.	1.330 000.000	93 კ.	3.255 000.000
39 კ.	1.365.000.000	94 კ.	3.290.000.000
40 კ.	1.400.000.000	95 კ.	3.325.000.000
41 კ.	1.435 000.000	96 კ.	3.360.000.000
42 კ.	1.470 000.000	97 კ.	3.395.000.000
43 კ.	1.505.000.000	98 კ.	3.430.000.000
44 კ.	1.540.000.000	99 კ.	3.465.000.000
45 კ.	1.575.000.000	1 მ.	3 500.000.000
46 კ.	1.610 000.000	2 მ.	7.000.000.000
47 კ.	1.645.000.000	3 მ.	10.500.000.000
48 კ.	1.680.000.000	4 მ.	14.000.000.000
49 კ.	1.715.000.000	5 მ.	17.500.000.000
50 კ.	1.750 000.000	6 მ.	21.000.000.000
51 კ.	1.785 000.000	7 მ.	24.500.000.000
52 კ.	1.820.000.000	8 მ.	28.000.000.000
53 კ.	1.855.000.000	9 მ.	31.500.000.000
54 კ.	1.890.000.000	1 ჩერ	35 000.000.000
55 კ.	1.925.000.000		

ა.-კ. მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატების წარმომადგენელთა ყრილობა

მესამე სხდომა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის როლი და მისი ორგანიზაცია

(მომხსენებელი ამხ. დათიევი)

მომხსენებელი ეხება უმთავრესად აზერბეიჯანის მომხმარებელ კოოპერაციას, რომელიც, მისი აზრით, იმდენად სუსტია და მოუწყობელი, რომ ვერ იკისრებს აგრონომიულ ფუნქციებს.

აზერბეიჯანში ამ ჟამად განვითარების გზას ადგას საკრედიტო კოოპერაცია. სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაარსების დღიდან მოეწყო სამოცამდე საკრედიტო კოოპერატივი, რომელიც აერთიანებს 60 ათას წევრს. საჭიროა ამ კოოპერატივების გაერთიანება ერთს კავშირში, რომელსაც შესაძლებელია დაეკისროს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ფუნქციები.

გლეხობის კოოპერატიულად დარაზმა მჭიდროდ არის დაკავშირებული მიწად-მოწყობის საკითხთან, რომლის მოგვარება აუცილებელი პირობაა გლეხობის შეკავშირებისათვის.

ამ ჟამად აზერბეიჯანში სწარმოებს მიწის მოწყობა და გლეხის მეურნეობის გამოკვლევა, რომლის დასრულების შემდეგაც ჩვენ გვექნება ცნობები გლეხის მეურნეობისათვის მიკუთვნილი მიწის სივრცის და მეურნეობის ხასიათის შესახებ, რაც საშუალებას მოგვცემს დავიწყოთ აგრიკულტურულ მოქმედება გლეხის მეურნეობის სფეროში.

კამათი.

მოხსენებებმა გამოიწვია ხანგრძლივი კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა დუდაროვმა, ალიევმა, პროფ. ტიმოფეევმა, ანდრონიკაშვილმა, რცხილაძემ და ფირალოვმა.

ამხ. ალიევი აღნიშნავს, რომ ა. კ. მოსახლეობა კულტურულად იმდენად ჩამორჩენილია, რომ იგი კოოპერაციის საქმეში თვითმოქმედებას და ინიციატივას ვერ გამოიჩენს, ამიტომ აუცილებელია ცენტრის ხელმძღვანელობა და მფარველობა.

პროფ. ტიმოფეევის აზრით აგრონომიულ დახმარების საქმე სავსებით უნდა გადაეცეს კოოპერაციას, რომელიც ამჟამად ამ დიდი საქმისათვის მოუმწიფებელია, მაგრამ, თუ იგი განვითარდება, ამ დანიშნულებას კარგად შეასრულებს. მიწ. სახ. კომ-მა პროფ. ტიმოფეევის აზრით ხელი უნდა შეუწყოს საწარმოო კოოპერაციის განვითარებას, რომლის მთავარი დანიშნულება იქნება გლეხური მეურნეობის დახმარება და მისი საჭიროებით დაკმაყოფილება.

ამხ. ფირალოვი მხარს უჭერს აგრონომიულ საქმის კოოპერაციისათვის გადაცემას. ადგილებზე აგრონომიულ ორგანიზაციებს შეუძლიათ მხოლოდ ტეხნიკურ ხელმძღვანელობის გაწევა. მეურნეობის ორგანიზაცია, რომელიც ქვეყნის სამეურნეო რაიონებად დაყოფასთან არის დაკავშირებული, მას არ შეუძლია. ქვეყნის რაიონებად დაყოფა და მეურნეობის ორგანიზაცია უნდა დარჩეს სახელმწიფოს ხელში. ამხ ფირალოვი თავის დებულებებს ასაბუთებს ისტორიული ცნობებით და ევროპიული ქვეყნების აგრონომიული დახმარების პრაქტიკით.

კამათის დასასრულს ყრილობა ავალებს მომხსენებლებს შეიტანონ თეზისებში ცვლილებანი გამოთქმული მოსაზრებების თანახმად.

სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

(მომხსენებელი ამხ. დუდაროვი).

მომხსენებელი უმთავრესად ეხება აზერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მოქმედებას. 1923 წლამდე ბანკი არსებობდა, როგორც აზერბეიჯ. სახელმწიფო ბანკი, რომელიც კომერციულ მიზნებს ისახავდა. ამ ჟამად ბანკის ოპერაციების საერთო რაოდენობის 84 პროცენტს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ოპერაციები, კომერციულ ვექსილებს—შეადგენს მხოლოდ 24 პროცენტი. დანარჩენი არის სახელმწიფო ორგანოების მიერ გაუნაღდებელი ვექსილები. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების და სხვა ორგანიზაციების რიცხვი, რომელსაც სესხს აძლევს აზ. სას.-სამ. ბანკი, უდრის 67. ამ რიცხვიდან სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაა—57, მუშკოოპის საკრედიტო განყოფილება—8 და 2 კომუნა.

კრედიტის მომხმარების სურათი ასეთია: პირუტყვის შესაძენად გატანილია 50,6 პროცენტი საერთოდ გაცემული სესხისა, არხების და პლოტინების გასაყვანად და მოსაწყობად 20 პროცენტი, თესლის შესაძენად—20 პროც., სასოფლო სამ. იარაღების შესასყიდლად—9 პროც. და სხვა საჭიროებისათვის—9 პროც.

ამხანაგობათ ბანკის მიერ სულ გახსნილი აქვთ 400.000 მან. კრედიტი, და 316,000 მან. საქონლის კრედიტი. სესხი არის გრძელი და მოკლე ვადიანი. უმთავრესად სესხი 9—12 თვის ვადით ეძლევათ.

სესხის მიმღებთა შორის 44,6 პროცენტს წარმოადგენენ პურის მთესველნი, 24,8 პროც.—მებამბენი, მებოსტნენი—10 პროც., ბრინჯის მთესველნი—6,5 პროც; მესაქონლენი, მეთამბაქოეები და მეთევზენი—14,5 პროც.

ბანკი ერთ ერთ ამოცანად ისახავს ძვირფას კულტურის ხელისშეწყობას. მებამბეობა და მეაბრეშუმეობა მიმდინარეობს ბანკის უშუალო მონაწილეობით და დახმარებით. რამოდენიმე ხნის წინად ბანკს გადაეცა სახ. სამ. მანქანების სახელმწიფო საწყობი, რაც ბანკს საშუალებას აძლევს დააკმაყოფილოს გლეხების დიდი მოთხოვნილება მცირეოდენად მაინც. ცხადია, ეს არ კმარა, საჭიროა ამ მხრივ ფედერატიულ ორგანიზაციების დახმარება. ამიტომ სწორედ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ა. კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის ორგანიზაცია, რომლის წესდება სავსებით აკმაყოფილებს ა. კ. სასოფლო მეურნეობის ინტერესებს.

მორიგ მოხსენებას კითხულობს ამხ. ჩხენკელი.

სასოფლო-სამეურნეო ბანკის ამოცანები

(მომხსენებელი ამხ. ჩხენკელი).

ბანკის უმთავრეს ამოცანას, მომხსენებელის აზრით, შეადგენს ა. კ. სასოფლო-მეურნეობის აღდგენა და განვითარება.

საორგანიზაციო მუშაობა დასრულდა და ბანკი უკვე შეუდგა ოპერაციებს, ბანკს ძალიან მცირე თანხა აქვს, ძირითადი თანხა განსაზღვრულია 5 მილიონი მანეთით, აქედან ბანკს ნაღდათ აქვს მხოლოდ ერთი მილიონი მანეთი. სამას-სამასი ათასი მანეთი უნდა შემოიტანონ ა. კ. რესპუბლიკების მიწად. მოქ სახ. კომ. სულ სამივე რესპუბლიკიდან შემოვა —900 ათასი მანეთი დანარჩენს შეავსებს ა. კ. ფინ. სახ. კომისარიატი.

თანხა არ არის საკმაო, ამიტომ ბანკს ოპერაციების წარმოების დროს მართებს დიდი სიფრთხილე: დახმარება უნდა მიეცეთ ისეთ მეურნეობათ, რომელნიც ყველაზე მეტად საჭიროებენ ხელის-შეწყობას. მომხსენებლის აზრით პირველ რიგში სასოფ.-სამ. ბანკმა დახმარება უნდა მისცეს ბამბის მეურნეობას, სათესკამპანიის და აბრეშუმის პარკის ოპერაციებს.

ბანკის ამოცანას შეადგენს უშუალოდ გასცეს სესხი მხოლოდ ა | კ. მასშტაბით გაერთიანებულ ორგანიზაციებზე, ხოლო ცალკე რესპუბლიკათა სამეურნეო ორგანიზაციებს დახმარება მიეცემათ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საშუალებით. ბანკის ძირითადი პოლიტიკა—მისცეს სესხი მიწაზე უშუალოდ მომუშავეებს, კომერციულ წარმოებით და სხვა

კამათი

მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი, რომელიც შეეხებოდა უმთავრესად საკითხს, თუ ვის და რომელ დაწესებულებას უნდა მიეცეს ბანკიდან კრედიტად.

ამიერ-კავკ. რკინისგზელთა მეორე კონფერენცია

კონფერენციის გახსნა

1 აპრილს, საღამოს 6 ნახ. საათზე ნაძალადევის თეატრში გაიხსნა ამ.-კავკ. რკინისგზელთა მე-2 კონფერენცია.

პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ხიმკოვი, ვაშაკიძე, ქავთარაძე, ბადიროვი, გოგობერიძე, გრიგორიანი, კუზნეცოვი. სამდივნოში შევიდნენ: ამხ. კვანტალიანი, ხტარკოვი, ზუზიევი.

დღის წესრიგი: 1) ფულის რეფორმა, 2) ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის მოხსენება, 3) ა.-კ. რკ. გზების სამმართველოს მოხსენება, 4) რკ. გზ. პროფგანათლების მოხსენება, 5) რკ. გზ. დამზღვევ კასის მოხსენება, 6) რკ. გზ. შრომის ინსპექციის მოხსენება, 7) რკ. გზ. ჯანმრთელობის განყოფილების მოხსენება, 8) ა. კ. სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების მოხსენება, 9) დელეგატების არჩევნები სრულიად რუსეთის რკინისგზელთა ყრილობაზე, 10) მიმდინარე საკითხები.

ფულის რეფორმა

(მომხსენებელი ამხ. ხიმკოვი)

წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ა.კ. ბიუროს თავმჯდომარე ამხ. ხიმკოვი.

ორატორი ამბობს, რომ ფულის რეფორმა უპირველეს ყოვლისა არის მშრომელ მასების საქმე, რომელშიაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშებმა და გლეხებმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი სამეურნეო ორგანოები უძლურნი იქნებიან, რომ ცხოვრებაში გაატარონ ეს მეტად მძიმე და რთული რეფორმა.

ამხ. ხიმკოვი შეეხო იმ გარემოებას, თუ ბონების კურსის დაცემა როგორ უარყოფითი გავლენას ახდენდა საკავშირო რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობაზე, ბიუჯეტზე, წარმოება-მრეწველობაზე, მაკრატელზე და სხვ. აგრეთვე აღნიშნა ამ ნიადაგზე წარმოშობილი გლეხობის უკმაყოფილება.

შემდეგ ორატორი გადადის იმ შედეგებზე, რომელიც აუცილებლივ უნდა მოჰყვეს ამ რეფორმას. ეს არის საერთოთ მუშებისა და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესება, საგარეო ვაჭრობის განვითარება, წარმოება-მრეწველობის უფრო აღორძინება და განმტკიცება, სასოფლო მეურნეობის აყვავება, საგადასახადო შემოსავლის გადიდება და სხვა.

დასასრულ ამხ. ხიმკოვმა აცნობა კონფერენციის წევრებს, რომ ფულის რეფორმა ახლო მომავლის საკითხია, რომ მაისის პირველ რიცხვებში იგი უკვე იქნება ცხოვრებაში გატარებული.

ამხ. ხიმკოვის მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ლევავას მოხსენება.

საბჭოთა სასამართლოში

გეგელიას საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოში დაიწყო საქარ. ცენტ. სისხლის სამართლის მილიციის უფროსის დიმიტრი გეგელიას და ამავე მილიციის თანამშრომელთა ნიკ. გეგელიას და სალაყაიას საქმის გარჩევა.

რაში ედებათ ბრალი?

გასულ წელს მილიციის თანამშრომელმა ემუხვარმა ჩამოართვა გლეხებს 393 თათრული ლირა, რომელიც გეგელიას არ გაუტარებია წიგნებში და რომელიც მან მიითვისა და დახარჯა.

გარდა ამისა, გეგელია ითვისებს სისხ სამართლის მილიციის საჭიროებისათვის გადადებულ 1 940.445 000 მან. გასულ წლის იანვრიდან—15 ივნისამდე.

ამავე დროს იგი სრულიად გულგრილად ეკიდება საქმის და ანგარიშების წარმოებას, რასაც შედეგათ მოსდევს სრული არევდარევა და ქაოსი. ფული იხარჯება არა თავის დანიშნულებათა მიხედვით—წიგნებში გაუტარებლად და საბუხჰალტერო წესების დაუცველად.

ზემოთჩამოთვლილ დანაშაულობათა გარდა გეგელიას ბრალად ედება მკვლელობა მოქ. ქუთათელაძის, რომელმაც იცოდა გეგელიას „საქმენი საგმირონი“ და რომელიც მოკლულ იქნა იმ მიზნით, რომ მას არ გამოეშკარავებია გეგელიას დანაშაულობანი. მოქ. ქუთათელაძე—დიმიტრი გეგელიას წაქეზებით მოკლულ იქნა მისი ძმის ნიკოლოზ გეგელიას მიერ.

ამასთანავე თავის პირადი ცხოვრებით გეგელია სახელს უტეხდა ხელისუფლებას, რომლის სახელითაც იგი მოქმედებდა. მაგ. მილიციის თანამშრომელ ემუხვარის საშუალებით, იგი სასტუმრო „ევროპის“ პატრონს მოქ. ჩიჩუას სთხოვს 25 მილიონს თითქოს მილიციის საიდუმლო საჭიროებისათვის.

ამასთანავე ხშირად შუა ღამით იგი დაიარება „ევროპაში“ მთვრალი ქალების თანხლებით და ითხოვს ნომერს დროს გასატარებლად.

დასაკითხად დაბარებულ პეტაშევსკის ქალს დაჭერის დამუქრებით აიძულებს „ქიმერიონში“ მასთან დრო გაატაროს.

გარდა ზემოხსენებულ დანაშაულობისა, გეგელიას ბრალად ედება, რომ მან სიღნაღში პოლიტბიუროს თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნის დროს მიითვისა მრავალი ნივთები (ოქროს საათები, ბეჭდები, სამაჯურები, ოქროს ჯვრები, ძვირფასი ქვიანი ბეჭდები და სხვა) რომელიც ჩამორთმეული იყო ნივთიერ დასამტკიცებელ საბუთებად.

1 აპრილის დილის სხდომა.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. შამახია, წევრები ამხ. ამხ. შუშანია და იაკობაშვილი, ბრალდებულთ ბრალდება წაყენებული აქვთ პროკურორის თანაშემწეების ამხ. ამხ. დიდებულიძის და მაისურაძის მიერ.

საზოგადოებრივ ბრალდებულად გამოდის ამხ. ტალახაძე. ბრალდებულმა დიმიტრი გეგელიამ დამცველებზე უარი განაცხადა. ნიკოლოზ გეგელიას იცავს დამცველთა კოლლეგიის დავალებით შალვა ალექსი მესხიშვილი. სალაყაიას—ვექილი მჭედლიშვილი.

120 მოწმეთაგან გამოცხადდა მხოლოდ 60. ამის გამო ბრალდებული ს. გეგელია ითხოვს საქმის გარჩევის გადადებას, ყოველ შემთხვევაში იმ მოწმეების მოყვანას, რომელთაც უწყება ჩაბარებული აქვს.

ნახევარი საათის თათბირის შემდეგ სასამართლო ადგენს საქმე განაგრძოს, ხოლო გამოუცხადებელი მოწმეების ძალით მოსაყვანათ მიღებულ იქნეს სათანადო ზომები.

საბრალდებულო ოქმის წაკითხვის შემდეგ, სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას დანაშაულობათა შესახებ.

ბრალდებული დიმ. გეგელია წაყენებულ ბრალდებებში თავს დამნაშავედ არ სთვლის. მხოლოდ ერთი ბრალდება მიიჩნია საფუძვლიანად სახელდობრ ის, რომ მან, სამსახურიდან განთავისუფლების მოსაზრებით, შეადგინა ორი ფიქტიური ხელშეკრულება 25 ოქ. მანეთის შესახებ და წარუდგინა სარევიზიო კომისიას: ნიკოლოზ გეგელია თავს ამ საქმეში დამნაშავედ არ სთვლის. სალაყაია თავს ყველაფერში დამნაშავედ აღიარებს.

პირველი სხდომა ამით სრულდება.

მეცნიერება და ტეხნიკა

ყველაზე მსუბუქი ხე.

ყველაზე მსუბუქი ხე არის ბალზას ხე, მისი სამშობლოა ცენტრალური და სამხრეთ-ამერიკის ტროპიკული ტყეები.

მას რბილი კანი აქვს, ტანი შეხების დროს, ხავერდს მოგვაგონებს. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ ხიდან აკეთებენ ბორანს, რასაც ადგილობრივ ენაზე „ბალზა“ ჰქვია, ამიტომ ამ ხეს ბალზას ხე დაერქვა.

რომ ავიღოთ ეს ხე და პრობკა ერთი და იგივე მოცულობის, დავინახავთ; რომ პირველი მეორეზე ერთი მესამედით მსუბუქია. ასე მაგალითად თუ პრობკა იქნება სამი გირვანქა, იმავე მოცულობის ბალზას ხე მხოლოდ ორი გირვანქა იქნება. ხის ზოგიერთი ადგილები კიდევ უფრო მსუბუქი არის, თითქმის ნახევარით პრობკასთან შედარებით.

ამ ხის ასეთი არაჩვეულებრივათ მცირე წონა დამოკიდებულია ამ ხის უჯრედების განსაკუთრებული აგებულებისაგან. ამ ხის უჯრედებს ძლიერ თხელი კედლები აქვს, სხვა ხეების უჯრედებში კი კედელის სისქეს უჯრედის დიდი ნაწილი უჭირავს. ამ ხის უჯრედებს აქვს გაგრძელებული ცილინდრის ფორმა და სავსე არიან უძრავი ჰაერით, რომელსაც ამ ხის მოცულობის 92 პროც.-ტი უჭირავს.

ამ ხეს მისი სიმსუბუქისა და აგრეთვე ნაკლები გამტარებლობის გამო ხმარობენ ჰიდრო-აეროპლანების, აეროპლანების საკანების, ოთახის საყინულეების და სხვა ამგვარის დასამზადებლათ. ჩვეულებრივ მდგომარეობაში ბალზას ხე ჩქარა ლპება. ეს თავისებურობა და აგრეთვე მის მიერ ყოველგვარი სინესტის მიმზიდველობა ხელს უშლის მას პრობკისათვის სერიოზული კონკურენციის გაწევაში.

ამ ხის სამრეწველო მიზნებისათვის მიმართეს სხვადასხვა საშუალებებს მის ამ უარყოფითი თვისებებისაგან გასანთავისუფლებლად, მაგრამ დიდი პერიოდის განმავლობაში დაცვა მისი დალპობისაგან ვერ მოახერხეს.

დიდი ხნის კვლევა ძიების შემდეგ ამერიკაში აღმოაჩინეს საშვალება ბალზას ხის დალპობისაგან დასაცავად. ხეს ავსებენ სპეციალური ხსნილით, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ინახავს მას და საშვალებას არ აძლევს წყალი მიიზიდოს.

ამ გამოგონების შემდეგ ბალზას ხეს შეტანა ამერიკაში, სადაც ომის დროს მრეწველობა ძლიერ განვითარდა, საგრძნობათ გაიზარდა და იზრდება.

ახლა ამერიკაში დაარსდა სპეციალური საზოგადოება კაპიტალით 50 მილიონი დოლარი, რომელიც მიზნათ ისახავს ბალზას ხის შემოტანას და დამუშავებას. 1920 წელ ამერიკამ შეიძინა 5 ნახ კილო ბალზას ხე გერმანიამ მხოლოდ 360.

გერმანიის მეცნიერებმა უკანასკნელი წლების განმავლობაში აღმოაჩინეს საკუთარი საშვალება ბალზას ხის დასამუშავებლათ.

ელექტრონის ორთქლის ქვაბები.

საკითხი ორთქლის ქვაბების ელექტრონის საშვალებით გათბობის შესახებ, უკანასკნელ ხანებში გერმანიაში პრაქტიკულ ნიადაგზე დაისვა და ნაწილობრივ კიდეც გადაიჭრა დადებითად. მთელ რიგ ფაბრიკა ქარხნებში გერმანიაში უკვე ხმარობენ ორთქლის ქვაბებს, რომელთაც ელექტრონის ძალით ათბობენ.

ცეცხლის მფრქვეველი მთების შესწავლა.

ამერიკელი პროფესორი დჟაგარი ცეცხლის მფრქვეველი მთების მოქმედების შესწავლის მიზნით 14 წელიწადია ცხოვრობს კუნძულ გავაიზე პატარა ხის ქოხში ცეცხლის მფრქვეველი მთის კილაუეას მწვერვალზე. სახლი რამოდენიმე ათეული მეტრით არის დაშორებული ცეცხლის მფრქვევი მთის პირიდან რის გამო დჟაგარმა ვულკანიური მოქმედების შესახებ ისეთი ცნობები შეაგროვა, რომელიც ჯერ არც ერთ მეცნიერს არ მოუპოვება.

დჟაგარი ამ ხნის განმავლობაში მოწამე იყო ცეცხლის მფრქვეველი მთის რამდენიმეჯერ ამოხეთქვის.

ქრონიკა

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული მეორე წერილის სათაური უნდა იყოს ასე: როგორ ეხმარებოდა ამერიკის მთავრობა რუსეთის დამშეულებს; იმავე წერილის ბოლო აბზაცში სწერია: ჩვენ ვისარგებლებთ გამომჟღავნებული ფაქტებით „ანგარიშების“ გასწორების ჟამს, იმ გარიშების გასწორების ჟამს, იმ „ანგარიშების“, რომლებიც... და სხვა. ხაზგასმული შეცდომითაა ხელმეორედ განმეორებული.

— **დაკარგული კაცი.** ჯანმრთელობის კომისარიატში მოყვანილი დამბლით შეპყრობილი მოქალაქე ბარნაბ ბესარიონის ძე ჯულაყიძე გამოვიდა შენობიდან და დაიკარგა. ნიშნები—80 წლის, წვერ-გაუპარსავი, აცვია წითელი ფარაჯა (ბუშლატი). ვინც იპოვის, სთხოვენ აცნობონ საპიორის ქუჩაზე სახლი № 37 კირილე ნიკოლაიშვილს.

— **„კრასნიე ვსხოდი“.** გამოვიდა ჟურნალი „კრასნიე ვსხოდი“ ორგანო რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა, № 2—3.

— **საფაბრიკო-საქარხნო შეგირდთა ცენტრ. სკოლა.** ქ. აღმასკომმა საფაბრიკო საქარხნო შეგირდთა მოსამზადებელ ცენტრ. სკოლისათვის ერთდროული დახმარების სახით გადასდო—1000 მან. ჩერ.

— **ნაციონალიზაცია ქალაქის ბიბლიოთეკებში.** ქ. აღმასკომმა წინადადება მისცა პოლიტ-განათლების განყოფილებას დაუყოვნებლივ გადასინჯოს ქალაქის ბიბლიოთეკების თანამშრომელთა სია, თანამშრომელთა ქართული ენის ცოდნის გამოსარკვევათ და გაატაროს სრული ნაციონალიზაცია.

— **ახალი დარაბები.** ქ. აღმასკომს განზრახვა აქვს ააგოს 19 ახალი დარაბა. ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 36 ათასი მანეთით.

— **მუშათა სახლები.** ცენტრალურ აღმშენებლობას ტფ. კომუნალურ ბანკმა გადასცა 2000 ჩერ. მან. დაწყებულ მუშათა სახლების დასამთავრებლად.

— **უქმე დღეები.** შრომის კომისარიატი ამ ჟამად იმუშავებს ცხრილს უქმე დღეების შესამცირებლად.

— **მუშათა მკურნალობის სამმართველო.** სოც. დაზღვევის სამმართველოს კოლეგიამ დაადგინა ჯანმრთელობის სამკურნალო ქვე-განყოფილება გადააკეთოს მუშათა მკურნალობის სამმართველოთ.

— **წიგნების პალატა.** საქ. სამეცნიერო დაწესებულებების სამმართველო შეუდგა წიგნების პალატის დაარსების საქმეს. პალატის მიზანია ახლად გამოცემულ სამეცნიერო წიგნების გავრცელება სამეცნიერო დაწესებულებებს შორის.

— **დახმარება ფ. მახარაძის სახელობის ბავშვთა თავშესაფარს.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა ფილიპე მახარაძის სახელობის ბავშვთა თავშესაფარს დუშეთში დახმარების სახით გაუგზავნა 14 ფ. შვრია და 200 კოლოფი გალეტი.

— **ქუთაისის საფეიქრო ქარხანა.** ამ დღეებში ქუთაისში გაიხსნება საფეიქრო ქარხანა. ქარხანაში დაახლოვებით იმუშავებს 400 მუშა.

— **სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებები.** ქ. აღმასკომმა მიიღო დებულება სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებების იჯარით გაცემის შესახებ.

— **მინდვრის მავნეებთან ბრძოლა.** ქ. აღმასკომმა ტფილისის მაზრაში მინდვრის მავნებლობის წინააღმდეგ საბრძოლველათ გადასდო 6,000 ჩერ. მანეთი.

— **სახლების შეკეთება.** ქ. აღმასკომმა მიმდინარე წლის განმავლობაში ქალაქის და მუშების სახლების შესაკეთებლათ გადასდო 318,000 მან. ჩერვ.

— **შრომის სამრეწველოების დათვალიერება.** შრ. კომისარიატის ტეხნიკურ ინსპექტორების მიერ ამ დღეებში დათვალიერებული იქნება შრომის სამრეწველოები.

— **მალარიასთან ბრძოლა.** ა.-კ. რკინის გზის დამზღვევ კასამ ჯანმრთელობის განყოფილებას გადასცა საჭირო თანხა 125 კილო ქინის შესაძენათ მალარიასთან საბრძოლველათ.

— **შრომის ბირჟა.** 1 აპრილს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 136 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—76, მოთხოვნილება იყო—64. სამუშაოზე გაიგზავნა—23.

— **იაფი სასადილო.** პირველ აპრილიდან წითელ არმიელთა ცენტრ. კლუბში (რუსთ. 10) გაიხსნა იაფფასიანი სასადილო წითელარმიელთა და მუშებისათვის.

შემთხვევები.

— გაფლანგვა. მოქ. კობიაშვილს კოოპ. ამხანაგობის „ივერთა კავშირის“ საწყობიდან გაუტანია და გაუფლანგავს 300 ჩერვონეცის ქონება.

— ქურდობა. 31 მარტს, პანასკევიჩის ქ. № 46 გაქურდეს მოქ კ. მახარაძის ბინა წაიღეს 150 ჩ. მან. ნივთები.

— ამავე დღეს გაქურდეს მოქ. გასპარიანცის ბინა. ფეოდოსიევის ქ. № 11. წაიღეს 100 მან. ჩერ. ნივთები.

ხელოვნება

ქართული ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების სიმფონიური კონცერტი.

31 მარტს სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოებამ გამართა პირველი სიმფონიური კონცერტი, რომელიც მთლიანათ მიძღვნილი იყო იმ ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებისათვის, რომელთაც უკვე მოიპოვეს მტკიცე არტისტიული სახელი (ბალანჩივაძე, ზაქარია ფალიაშვილი და არაყიშვილი); კონცერტზე შესრულებული იყო აგრეთვე ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორების ნაწარმოებები (თაქთაქიშვილი, ლეო ფალიაშვილი და კილაძე).

დ. არაყიშვილის და ზ. ფალიაშვილის ოპერებს და რომანსებს კარგათ იცნობს ქართველი საზოგადოება. ისინი ქართული მუსიკის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ.

ამ კონცერტზე საინტერესო იყო ახალი ნაწარმოებები მ. ბალანჩივაძის და ქართველი ახალგაზრდა კომპოზიტორების. შესრულებული იყო მთლიანათ მ. ბალანჩივაძის ოპერის „თამარ ცბიერი“-ს უვერტიურა.

მუშათა ცხოვრება

პარასკევს, ოთხ აპრილს, საღამოს ექვსის ნახევარზე ჩვენი რედაქციის ბინაზე დანიშნულია გაზ. „კომუნისტი"-ს მუშა-კორესპონდენტების საგანგებო კრება.

მუშკორებს ევალებათ გამოცხადდენ კრებაზე უკლებლად.

რითი ავხსნათ?

(განათლების სახკომის და აღმასკომის საყურადღებოდ).

ჩვენ ამჟამად რასაც ვღებულობთ, ეს მიგვაჩნია მოწყალებად. ჩვენ არც ყაჩაღები ვართ და არც ცხოვრების ნაძირალები, რომ ჩვენი შრომას ფასი არ ჰქონდეს? ყოველმა განათლების დარგში მომუშავემ მოიგონოს მასწავლებელთა უკანასკნელი კონფერენცია და ის მწვავე კითხვები, რომლებიც მან წამოაყენა. არ შევჩერდები იმ იმედებზე, რასაც მასწავლებლები ამყარებდენ დაპირებებზე. იმედები გაუცრუვდათ. ეს ჩვენ არ გვაკვირვებს, არაა ახალი, ძველია. არასოდეს არ იყო დაფასებული მასწავლებლის შრომა. ამ მოვლენას ყველა შეჩვეულია და თვითონ მასწავლებელიც ახლო წარსულში ყოფილა ისეთი შემთხვევები, რომ თავის ხვედრ გროშებს მასწავლებლები მეორე და მესამე თვეში ძლივს ღებულობდნენ, მაგრამ ისინი ამას იტანდნენ, ვინაიდან სახელმწიფოს და მოზარდ თაობის ინტერესს უფრო მაღლა აყენებდნენ თავის პირად ინტერესებზე და განაგრძობდენ თავის გულწრფელ შრომას.

ასედაც უნდა მოქცეულიყო მასწავლებელი, რაკი ამ დაგვიანების მიზეზი გამომდინარეობდა სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობიდან. მაგრამ დამერწმუნეთ მოტანილია, როდესაც უმიზეზოდ აბუჩად გვიგდებენ. მოვიყვანთ სურათს 24 მარტის ფულის მიღებისას შრომის სკოლებში: 24 მარტი ორშაბათი: ჩერვონეცის კურსი 18 მილიარდი, რაკი წინა დღე უქმეა, ფული იწერება ჩვენთვის ამ კურსით დღის 12 საათზე, ხოლო ფულის დარიგება განათლ. განყ. იწყებს 4 საათზე, როდესაც კურსი უკვე გამოცხადებულია ახალი (20 მილიარდი), სკოლებს არ უნდათ აღება ფულის, ვინაიდან ორ საათში ამდენი დაიკარგა. თან ნუ დაგავიწყდებათ კოოპერატივებში შეტანას ვერ მოასწრებენ, რაკი ფულის დარიგება 10 საათამდის გასტანს, მეორე დღეს 25 მარტი უქმეა და მით უმეტეს ეს ბონები კარგავს თავის მნიშვნელობას. ისედაც გაპარტახებულ მასწავლებელს თავის ჯამაგირიდან ეკარგება 3—4 მანეთი ოფიციალური კურსით, და თუ გადავალთ პროდუქტების ფასების აწევაზე, მაშინ თითო მასწავლებელს ანგარიშიც ეკარგება, თუ რა მიიღო. ამ პირობებში მომწყვდეული სკოლის წარმომადგენლები ცდილობენ არ მიიღონ ფული ორშაბათ საღამოს. ამ მიზნით კრებაც უნდათ გამართონ აღმასკომის დარბაზში, მაგრამ მათ უბოდიშოდ მილიციონერები გარეთ ერეკებიან, და პასუხი კი ასეთი მოსდით, რომ რა დღესაც არ წაიღონ ფული (ვინაიდან გამოწერილია) ამ კურსით მიიღებენ, ე. ი. რაც მეტს იცდიან, მეტს დაკარგავენ, მაშ უნდა აიღონ!

ასეთი მოვლენა დასაგმობია და მას ბოლო უნდა მოეღოს ერთხელ და სამუდამოდ. მასწავლებელს უნდა მიეცეთ კარგი ჯამაგირები, თავის დროზედ და დღის კურსით და მაშინ მათ მეტი ხალისი ექნებათ მუშაობის.

მასწავლებელი ქალი.

კომუნისტური ნათლობა ორთაჭალაში.

ჯერ სამი კვირე არ არის, რაც ამხ. ლენინის სახელობის მუშათა კლუბში (ტყავტრესტის წარმოებებთან) იყო კომუნისტური ნათლობა, მაგრამ როგორც ეტყობა მან უკვე მიიღო ჩვეულებრივი ხასიათი.

შაბათს, მარტის 29-ს მოხდა მეორე კომუნისტური ნათლობა. მონათლეს ათი ბავშვი. დაერქვათ სახელები: სპარტაკი, კარლი, სტეფანე, ნინელ, ოქტიამბრინა, ვლადილენ, სვობოდა, როზა და კინი. ყველანი ეროვნებით ჩაეწერენ ინტერნაციონალათ, გარდა ერთისა. ერთი ბავშვი არ მონათლეს, რადგან იყო დაბადებული 1920 წელში. ნათლულებს დაურიგეს შვიდშვიდი არშინი ჩითები. შემდეგ ამხ. გალუსტიანის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნა კომხურად „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", პიესამ კარგად ჩაიარა.

ადგილობრივ ლოტბარ ამხ შაქრო ტალიკაძის ხელმძღვანელობით იქნა გამართული გლეხური სცენა სიმღერა-თამაშით. მონაწილეობას ღებულობდენ ადგილობრივი კომკავშირელები და მათ შორის ზესია მაისურაძე. ამ უკანასკნელის სცენაზე გამოჩენამ ახურვალე ტაშის ცემა გამოიწვია საერთოდ მუშებში. უნდა ითქვას, რომ მოთამაშეთ მოუმზადებლობა ეტყობოდათ, რის გამოც წარმოდგენა-სიმღერა სუსტათ ჩატარდა: თვითხელმძღვანელი მეორე სუფლიორობას ეწეოდა სცენაზე.

ამხ. ტალიკაძეს კარგათ ვიცნობთ და ბევრჯერ მოგვისმენია მისი გუნდის სიმღერა, მაგრამ ამ შემთხვევაში ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა მან მაყურებლებზე.

კლუბის დარბაზი ხალხით გაჭედილი იყო.

იმფორმატორი მუშა ხერგზაძე.

ბაღებს და ხეხილებს მოუარეთ

(ქალ. აღმასკომის და მილიციის საყურადღებოდ)

გაზაფხულდა და უკვე მწვანეებით დაიფარა არე-მარე; ბაღები და განსაკუთრებით აქა-იქ დარგული ხეხილები ამ მხრით განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია მუშური და გლეხური ქალაქის აღმასკომის მიერ. საქმე იმაშია, რომ ყოველ გაზაფხულობით საშინელ განადგურებას განიცდიან აყვავილებული ხეხილები—ქლიავი, ბალი, ალუბალი, ნუში და ბევრი სხვები, ვინაიდან ამ ხეხილებს ძალიან ბევრი შეუგნებელი მტრები ჰყავს, განსაკუთრებით ბავშვების მხრით; მოზრდილებიც არ აკლებენ თავიანთ მხრით თავის „ყურადღებას" და ეხლაც შეხვდებით რუსთაველის პროსპექტზე მოხეტიალე სხვადასხვა „დამოჩკებს", რომლებსაც ხელში მოზრდილი რომელიმე ხეხილის ახლად აყვავებული ტოტი უჭირავთ და დასეირნობენ. აი ასეთ ხეხილების ყვავილში განადგურებას უნდა მიექცეს სასტიკი ყურადღება და ყველა ის პირნი, ვინც ასე ანადგურებს მცენარეებს და ნორჩ ნერგებს სათანადოთ, უნდა იქნენ დასჯილნი.

იმ დროს, როდესაც ბაღებსა და ქუჩებს ხეხილებით და სხვადასხვა მოზარდი ხეებით ავსებენ და რგავენ, დაუშვებელია, რომ უკვე გაზრდილი და აყვავილებული ნაყოფიერი ხეები ნადგურდებოდეს ჩვენი ჩამორჩენილობით და შეუგნებლობით; დაუშვებელია, რომ ერთი მხრით ვაშენოთ და ვრგავთ ხეხილები, მეორე მხრით კი შეუგნებელმა ელემენტებმა მისი ტოტები ამტვრიონ მხოლოდ იმისთვის, რომ მისი ნორჩი ყვავილები მეტად ლამაზია და მშვენიერი სუნიც აქვს.

თუ რომ მოზარდი თაობა სათუთია და მას მოვლა პატრონობა ესაჭიროება, უფრო მეტი სათუთი და მოსავლელი უნდა იყოს იმ ნაყოფიერი ხეხილების მოვლა პატრონობა, რომლებსაც ჯანმრთელობის მხრით სწორედ ამ მოზარდი თაობისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს ჰაერის გაწმენდით და სიცხე-პაპანაქებაში თავის შეფარებით ამ ხეხილების ჩრდილში და იმ ნაყოფით, რომლებიც ასე უყურადღებოთ ნადგურდება ყვავილში გამოსვლისთანავე.

ამაზე ყურის გდება უნდა ევალებოდეს ყველა შეგნებულ მოქალაქეს და განსაკუთრებით მოწინავე მუშა-ამხანაგებს.

საჭიროა ეხლავე ზომების მიღება ქალაღმასკომისაგან და მილიციის მიერაც.

მუშკორი უ. ჯაში.

ჩვენი მუშური სალამი პროლეტარულ მომღერალთა კავშირს

29 მარტს ა. | წ. ა. | კ. რკინისგზების სტამბაში მუშაობის გათავების შემდეგ დღის პირველ საათზე პროლეტარულ მომღერალთა კავშირმა მოაწყო „მფრინავი" სალიტერატურო გამოსვლა, რომელმაც ძალიან დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მუშა-მოსამსახურეებზე. კონცერტის წინ სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ს. ეულმა, გედევანიშვილმა და დუბენსკიმ, რომლებმაც დამსწრე მუშა-მოსამსახურეებს განუმარტეს ამ „მფრინავი" ლიტერატურული გამოსვლის მნიშვნელობა.

პროლეტარულ მომღერალთა კავშირს თურმე განზრახვა აქვს ფართოდ და ხშირად მოაწყოს ხოლმე როგორც ლიტერატურული, აგრეთვე მუსიკალური გამოსვლები, რომ ამრიგად მჭიდროდ დაუკავშირდეს ადგილობრივ მუშებს და მუდმივი კავშირი იქონიოს ქარხნებთან. დიახაც, სიმპატიური მიზანია და მას არ შეუძლია აღფრთოვანება და სიხარული არ გამოიწვიოს მუშებში.

სიტყვების შემდეგ ლექსები წარმოსთქვეს შემდეგმა ამხ: ს. ეულმა. ვაკელმა, იურმა, ინასარიძემ, დუბენსკიმ და გიგო ხიჩუაშვილმა. ყველა მონაწილენი მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს მუშა-მოსამსახურეებმა და სთხოვეს, რომ შემდეგშიც არ დაივიწყონ და ხშირად გამართონ ხოლმე ასეთი გამოსვლები ჩვენ სტამბაში.

მუშა გ. ინაური.

ავეჯეულობის ქარხანაში

(სახ. მეურნ უმაღ საბჭოს საყურადღებოდ).

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ავეჯეულობის ქარხანაში, (ვერის დაღმართთან), ხელფასის დარიგების დღეებში ფულის მიცემა მუშებისათვის ვერ სრულდება უკანასკნელთა მოხერხებულ პირობებში. როგორც შრომის კანონთა კოდექსი ამბობს, ხელფასი უნდა ეძლეოდეს მუშებს მუშაობის შეწყვეტამდე. აქ კი პირიქით მუშაობა რომ შეწყდება, შემდეგ შეუდგებიან დასარიგებელ ჯამაგირების შეგროვებას და მოტანას. შემდეგ საღამოს სრულ 8 საათამდე მუშები დგანან რიგში მის მისაღებად. არის შემთხვევები, რომ ზოგიერთები ჯამაგირების მიღების ცდაში დაღლილი, დაქანცული შედის რომელიმე მახლობელ დუქანში და იქ უთავდება ღვინოში თავისი ჯამაგირი.

თუ გინდ ეს მარცხი ასცდეს მას, გვიან მიღებული ჯამაგირების საქმე მაინც დაღუპულია. ის მეორე დღისათვის უკვე ნახევრდება. მიღების დღეს კი მუშამ არ იცის, რა გზა უჩვენოს, სად წაიღოს ეს ბონები.

აი, ამიტომ, რომ აქაური მუშების ამ ნიადაგზე გაწვალებას და აღშფოთებას ბოლო მოეღოს, საჭიროა ეს საქმე მოგვარდეს წესიერად და მუშებს ხვედრი ჯამაგირები დაურიგდეთ მუშაობის შეწყვეტამდე. ამის მოწესრიგებას უნდა მიაქციოს დიდი ყურადღება აქაურმა ქარხკომმა, რომლის უმოქმედობითაც მუშები უკმაყოფილონი არიან.

მუშკორი ჩხმელი.

საქონლის საფასურის ჩერვონცებზე გაძვირება სრულებით უკანონოა

(ამ. კავკ. ფინსახკომის საყურადღებოდ).

დაახლოვებით ორი კვირის წინ მუშკოოპის დუქანში კვერცხი იყიდებოდა 27 კაპ. ათეული, 31 მარტს კი იყიდებოდა 32 კაპ. ა. კ. ფინსახკომისრის განმარტებით სწარმოებს ბრძოლა საქონლის საფასურის ჩერვონცებზე გაძვირების წინააღმდეგ.

საჭიროა, ვიცოდეთ, შეუწყობს თუ არა ხელს ფულის რეფორმის უმტკივნეულოდ ჩატარებას ჩერვონცებზე საქონლის გაძვირება?

მუშკორი ა. ნ.

მუშათა ქრონიკა

— **კურსები რკინისგზელ მუშებისთვის.** თბილისის დეპოს ადგილკომის კულტგანყოფილებამ გადასწყვიტა ამ დღეებში გახსნას კურსები, სადაც შეასწავლებენ მუსიკას, სიმებიან ორკესტრს, როგორც ევროპიულ, აგრეთვე აზიურ მოტივებზე. აქვე იქნება გახსნილი სხვა კურსები, სადაც შეასწავლებენ ქართულ ენას. ვისაც სურს, შეუძლია ჩაეწეროს დეპოს ადგილკომში. მოკლე ხანში დაიწყება მეცადინეობა.

მუშკორი რკინისგზელი.

— **ღარხეული ხაჯილი.** სავაგონო პარკში ამ დღეებში ამხ. ი. ლელაშვილმა (ძველი მუშაა) დაიჭირა მასალის ქურდი მუშა, რომელიც გადაეცა ვაგონის პარკის უფროსს. მუშა-ქურდი დაუყოვნებლივ დათხოვნილი იქნა სამსახურიდან, როგორც სისტემატიურად ქურდობაში შემჩნეული და მუშათა პრესტიჟის დამამცირებელი.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

პენსიონერ ქალს ამხ. ხოსელიას.

მე ვარ პენსიონერი რკინის გზის დამზღვევ კასისა. მყავს სარჩენი ოთხი სული, ვღებულობ თვეში 5 მანეთს და 75 კაპ. ჩერვონცებით. მიჭირავს გოგოლის ქუჩაზე ოთახი და ერთი ქუხნა ზომით 39 კვადრ. არშინი. გთხოვთ მაცნობოთ, თუ რამდენი უნდა გადავიხადო ოთახის ქირა.

პასუხი:

თანახმად თბილისის ქალ. საბჭოს დადგენილებისა 1923 წ 8 ნოემბრიდან № 42—§ 2 სა თქვენ ეკუთვნით გადამხდელთა პირველ კატეგორიას და ყოველ კვადრატიულ არშინზე საცხოვრებელ ბინისას ახდით ჩერვონეცის ერთს და სამოც და ცხრა მეასედს კოპეიკს—(1,69 კ) და ქუხნით სარგებლობისთვის ბინის მთელი ქირის ერთს პროცენტს.

უვერტიურა პოლიფონიურია, ის შესდგება მთელი რიგ მუსიკალურ პერიოდებისაგან, კომპოზიტორი დიდ ადგილს უთმობს მელოდიებს, რომელიც დაწერილია ქართული სტილით; ეს მელოდიები ჰარმონიზაციისა და ინსტრუმენტოვკის მხრივ დამუშავებულია ევროპიულათ.

მეტად ლამაზია ხმოვანების თანდათანობითი ზრდა, რომელიც თავდება საზეიმო ფინალით. ამ უვერტიურას სიმფონიური ხასიათი აქვს. ლამაზი და მელოდიურია მომღერალ ყენაძის მიერ შესრულებული არია ბალანჩივაძის ოპერიდან.

თაქთაქიშვილი ჯერ კომპოზიციის თეორიის შესწავლის პერიოდში იმყოფება. ის არაყიშვილის მოწაფეა, მაგრამ მისი კომპოზიტორული ნიჭი უკვე გამოაშკარავდა მის სახალხო მელოდიებში „ოროველა" და „ურმულში".

ლევან ფალიაშვილი წარმოდგენილია მისი ერთმოქმედებიანი ოპერის „დედა და შვილი"-ს უვერტიურით. ჩვენ ვიცნობთ მის გაცილებით უფრო დამუშავებულ და დამთავრებულ ნაწარმოებს ოპერა „ვეფხვის ტყაოსანს". აი ამ ნაწარმოებში სჩანს კომპოზიტორის სიმწიფე და ინდივიდუალური ნიჭი.

კონცერტზე შესრულებული იყო ახალგაზრდა მუსიკოსის კილაძის ვოკალური ნაწარმოები: „სიმღერა სალამურზე", ეს მეტად ორიგინალური და მელოდიური ნაწარმოებია. მარტო ამ ნაწარმოებით, რასაკვირველია, ძნელია ახალგაზრდა კომპოზიტორის ნიჭის შეფასება.

სიმფონიურ ორკესტრს დირიჟორობდენ ზაქარია ფალიაშვილი და დიმიტრი არაყიშვილი. აუდიტორიამ ორივე მუსიკოსებს მხურვალე ოვაციები გაუმართა.

კონცერტზე გამოსულ სოლისტებიდან აღსანიშნავი არიან მომღერალი ქალი გაბაშიძე (არაყიშვილის რომანსები) მომღერალმა ყურადღება უნდა მიაქციოს მაღალ რეგისტრს; ის ვერ არის მტკიცე.

ა. ზეზუთოვი.

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს, 3 აპრილს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება გრ. რობაქიძის ახალი 6 მოქმედებიანი პიესა: „მალშტრემი" კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის რეჟისორობით,

ნიკო გოცირიძის სახელობის თეატრი. ნიკო გოცირიძის იუბილეს აღსანიშნავად ავჭალის მუშათა თეატრს დაერქვა ნიკო გოცირიძის სახელობის თეატრი.

— **ქართველ მხატვართა ყრილობა.** 4 აპრილს თბილისში გაიხსნება სრ. საქართველოს მხატვართა ყრილობა.

— **„ოქროს მამალი".** ოთხშაბათს, 9 აპრილს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება რ. კორსაკოვის ოპერეტკა „ოქროს მამალი" კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით.

დღეს თეატრებში.

— **ოპერა.** წარმოდგენა არაა.

— **რუსთაველის თეატრი.** „მალშტრემი".

— **სახ. სახლი.** რუსული წარმოდგენა.

პროვინციაში

გლეხთა დამხმარე იურიდიული ბიურო ქ. ქუთაისში

ქუთაისის მაზრის **გლეხთა დამხმარე კომიტეტი** ამით აცხადებს მაზრის მშრომელ გლეხობის საყურადღებოთ, რომ ქ. ქუთაისში, ქუთაისის მაზრის გლეხთა სასახლეში **დაარსებულია გლეხთა-იურიდიული ბიურო**, რომლის დანიშნულებას შეადგენს: აღმოუჩინოს ქუთაისის მაზრის მშრომელ და ღარიბ გლეხობას უსასყიდლოთ ყოველმხრივი დახმარება, განცხადებების და თხოვნების დაწერით, სხვადასხვა ახსნა-განმარტებების მიწოდებით შეკითხვებზე, პასუხით და რჩევა-დარიგების მიცემით. იმ მიზნით, რომ მშრომელი ღარიბი გლეხობა დაცულ იქმნეს სხვადასხვა სახის გაიძვერა პირების თაღლითობისაგან, გლეხთა სასახლეში დაწესებულია გლეხთა დამხმარე იურიდიული ბიუროს წევრების ყოველდღიური მორიგეობა, დღის 12 საათიდან—3 საათამდე (უქმე დღის გარდა). ყველა ამხ. გლეხები, რომელნიც საჭიროებენ რჩევა-დარიგებას, ამა თუ იმ საკითხის ახსნა-განმარტებას, თხოვნის ან განცხადების დაწერას და სხვა, მიიღებენ სათანადო დახმარებას, გლეხთა სასახლეში დაწესებულ გლეხთა იურიდიულ დახმარების აღმომჩენ ბიუროს მორიგე წევრებისაგან სრულიად უფასოთ.—**მისამართი: ლენინის ქუჩა № 1 გლეხთა სასახლე.**

ქუთ. მაზრის გლეხთა იურიდიული დახმარების ბიუროს პრეზიდიუმი.

გორის რაიონის კომიტეტების კონფერენცია

23 მარტს ქ. გორში შესდგა კონფერენცია გორის რაიონის 55 სოფლის გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტების წევრთა. დაესწრო უმრავლესობა. რაიკომის პ. | მ. მდივანმა ეპ. სიამაშვილმა კონფერენცია გამოაცხადა გახსნილად.

კონფერენციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ვ. თანდილაშვილი, მდივნათ ვ. კვალიშვილი. პირველი სიტყვა მიეცა ამხ. ეპ. სიამაშვილს, რომელმაც მოკლეთ და მკაფიოთ დაუსურათა კონფერენციას მნიშვნელობა გლეხთა დამხმარე კომიტეტებისა, შეადარა ამ კომიტეტების მოქმედება რუსეთში, საქართველოს სხვადასხვა მაზრებში და თვით გორის მაზ. რაიონებში. მან სცნო, რომ შედარებით სხვებთან გორის რაიონის სოფ. კომიტეტები სდუმან, დაქვეითებულნი არიან, არავითარი მოქმედება მათი არა სჩანს, ისინი არიან აღნიშნულნი მხოლოდ ქაღალდზე, სხვა უფრო ფხიზელმა რაიონებმა მაზრაში მათ გაასწრეს და ბევრათ თუ ცოტად მათი აპარატი ამუშავდა და ცდილობენ წესიერათ მოაგვარონ თავიანთი საქმე.

უსურვებთ გორის რაიონის გლეხთა დამხმარე კომიტეტებს უფრო შეგნებულად მოჰკიდონ ხელი ამ დიად საქმეს და მეტი ენერგია—ინიციატივა გამოიჩინონ.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა სოციალურ უზრუნველყოფის გორის სამაზრო ინსპექტორმა ამხ. იმნაძემ, ფართოთ გააცნო კონფერენცია საურთიერთო გლეხთა დამხმარე კომიტეტების სტრუქტურას, უჩვენა წყაროები, საიდგანაც უნდა შესდგეს საკომიტეტო ფონდები, განსაკუთრებით თითეულ სოფლისთვის, ბოლოს მოუწოდებს მათ ნაყოფიერ მუშაობისკენ.

შემდეგ გაიმართა კამათი და იქნა განმარტებული დამაკმაყოფილებლად რამოდენიმე შეკითხვები.

კონფერენციამ გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიაც აღნიშნა, რომ სხვა ამნაირ კომიტეტების მიხედვით იმოქმედებენ ნაყოფიერათ და გამოიჩენენ ენერგია ინიციატივას; უძღვნიან სალამს გორის მაზ. პარტკომს და აღმასკომს მათი ნაყოფიერი მუშაობისათვის, გლეხების სასარგებლოდ, აგრეთვე დაადგინეს ეთხოვოს მათ, რათა ქალ. გორში იქნას გახსნილი აქ ჩამოსულ გლეხებისათვის სხვადასხვა თავის გაჭირებისათვის თავშესაფარი სახლი.

ბოლოს კონფერენციამ ერთხმად ამოირჩია სარაიონო საურთიერთო გლეხთა დამხმარე კომიტეტების წევრებათ ხუთი კაცი: 1. ეპ. სიამაშვილი, 2. ალ. ცაბაძე, 3. გ. ბიბილაშვილი, 4. ტატ. ქერდიყოშვილი და 5. დ. გუტიკაშვილი.

იოს. ყანჩაველი

ერკეთის თემი (გურია)

18 მარტს, პარიზის კომუნის დღის აღსანიშნავათ ხევის თემში შესდგა კომპარტიის ერკეთ-ხევის ორგანიზაციის წევრთა შეერთებული კრება, რომელსაც აგრეთვე დაესწრნენ მრავალი უპარტიონიც.

დღის წესრიგში იდგა: 1) მოხსენება 18 მარტის დღესასწაულის შესახებ, 2) ბურჟუაზიულ ქვეყნებში დაპატიმრებულ რევოლიუციონერების დამხმარე კომისიების არჩევა. პირველათ მოსმენილი იქნა ვრცელი მოხსენება გურიის კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნის, ამხ. გრიგოლ მგალობლიშვილისა, რომელმაც დაახასიათა 1871 წლის 18 მარტში პარიზის მშრომელების გამოსვლა თავიანთ მჩაგვრელების წინააღმდეგ, მშრომელების დამარცხება და ამის მიზეზები. შემდეგ ამხ. შეეხო საბჭოთა კავშირს, აღნიშნა კომუნისტური პარტიის ძლევა-მოსილება; ევროპაშიც კომუნისტური პარტიის გავლენა თანდათან ძლიერდება, რაც არის თავდები მსოფლიოს მუშათა კლასის გამარჯვებისა. მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც პარტიის წევრებზე, აგრეთვე დამსწრე უპარტიოებზედაც.

შემდეგ მოსმენილ იქნა იმავე ამხანაგის მოხსენება ბურჟუაზიულ ქვეყნებში დაპატიმრებულ რევოლიუციონერებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. ერთხმათ იქნა დადგენილი არჩევა დამხმარე კომისიებისა, რომლებსაც დაევალა შემოიკრიბონ თავის გარშემო ფართო მასები. კომისიაში არჩეულ იქნენ შემდეგი პირები ხევიდან: ერანიკო მამალაძე, ისიდორ მამალაძე, ნოე უჯმაჯურიძე; ერკეთის თემიდან: ოლია კალანდაძის ასული, ფ. მგალობლიშვილი, პ. ბერიძე.

ფ. მგალობლიშვილი.

ონტოფოს თემი (სენაკის მაზრა)

ს. ონტოფოში ითვლება დაახლოებით 850 მოსახლე. ამავე თემში შედიან სოფლები: აბაშა, სეფიეთი და გეზათ-გულეხეთი. ონტოფოს მცხოვრებლებმა გააშენეს საბჭოთა ხელისუფლების დროს პირ. დაწ. შრომის სკოლა. შენობა ორსართულიანია, აქვს თერთმეტი ოთახი. შენობის ერთ-ერთ ოთახში არის მოთავსებული ახალგაზრდა კ. კავშირის ბიურო. ამავე თემში იქნა გაკეთებული საბჭოთა ხელისუფლების დროს ხიდი, რომელიც გაყვანილი არის „ნოღელაზე". გარდა ამისა ახალგაზრდა კ კავშირის წევრებმა ხალხის დახმარებით ეკლესიები (ამ თემში იყო ორი ეკლესია) შეაკეთეს კლუბებად, სადაც იდგმება წარმოდგენები ადგ. კავშირის მიერ, აგრეთვე დრამატიული დასისაგანაც. წარმოდგენები ხშირად უფასოა, რასაც დიდ აღფრთოვანებაში მოჰყავს ხალხი. სურვილი ხალხისა არის, რომ უფრო კარგად შეაკეთონ ადგილობრივი კლუბები. თემში აკეთებენ სამმართველოს დიდ შენობას, რომელიც შესდგება რამოდენიმე ოთახისაგან. არსებობს აგრეთვე სამკითხველო, სადაც თავს იყრიან გლეხები და კითხულობენ გაზეთებს, ხალხი გამოფხიზლების გზაზეა შემდგარი. ზურგი შეაქციეს ეკლესიებს, თავისუფლდებიან ცრუმორწმუნოებიდან. გაიძახიან: „ძირს ისეთი პირები (მღვდლები), რომელნიც გვატყუებდნენ ჩვენ აქამდე".

თემში არიან საუკეთესო ძალები, რომელნიც ხელმძღვანელობას უწევენ ხალხს.

პავლე ნადარეიშვილი.

დიდი ჯიხაიშის თემი (სამტრედიის რაიონი)

ამ უკანასკნელ წლებში დიდი-ჯიხაიშის თემში ფრიად მნიშვნელოვანი კულტურული მუშაობას ჩაეყარა საფუძველი. მათ შორის აღსანიშნავია ტეხნიკუმის შენობა, სახალხო სახლი და სხვა. ასეთი შენობების აგება მძიმეთ დააწვა ადგილობრივ გლეხობას. ამისათვის დიდი-ჯიხაიშის თემის საბჭომ ამ უკანასკნელ დღეებში იქონია მსჯელობა ასეთი მდგომარეობაზე და დაადგინა: საქართველოს ქალაქებში მომუშავეებს, რომლებიც არიან დიდი-ჯიხაიშის მკვიდრნი, შექმნან ქვეკომისიები, რომლებიც შეუდგებიან ურთიერთშორის შემოწირულების შეკრებას; გარდა ამისა მიმართავენ სხვადასხვა დაწესებულებებს და უწყებებს, რათა გაიღონ თავისი წვლილი და შეუმსუბუქონ გლეხობას ხარჯი, დასასრულ, საბჭო გამოსთქვამს სურვილს, რომ ასეთი ქვე კომისიები მოეწყოს ამიერ კავკასიის სხვა ქალაქებშიც. ყოველივე ზემოაღნიშნულის ხელმძღვანელობა და მოწყობა საბჭომ დაავალა ამხ. ვალერიან ათანასეძე ვაშაკიძეს.

პ. ლეჟავა.

დავიწყებული საზოგადო მოღვაწე ფონ-ტეფო

(წერილი ხაშურიდან)

ადამიანი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში საზოგადოებას ემსახურება, არ შეიძლება ერთხელ მაინც არ იქნეს გახსენებული და თუნდაც სამაგიერო მადლობით დაჯილდოვებული. მშრომელი ხალხის პირმშო შვილი, მუდამ მის რიგებში მდგომი და მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე, დღეს უყურადღებოთ არის მიტოვებული.

ხაშურის კლუბს, მის ისტორიას, არ შეუძლია დაივიწყოს პოეტი მუშა, სცენის მოყვარე და მისი საძირკვლის ჩამყრელი ფონ-ტეფო დღეს ის მოხუცებულია, უძლური, მარტოხელა. ნუგეშისმცემელი არავინა ჰყავს.

შეპირდნენ საღამოს დადგმას, მაგრამ არსადა სჩანს. მიდის დრო და მას არსებობის საშუალება ესპობა. ნუ თუ ხაშურის საზოგადოებამ დაივიწყებას მისცა მისი სახელი და შრომა?

ნუ თუ ხაშურის საზოგადოებას არ შეუძლია დააფასოს მის რიგებში მომუშავე პატიოსანი მუშა და საზოგადოების ერთგული ადამიანი? განა მხოლოდ მაშინ არის ადამიანი ძვირფასი და პატივსაცემი, როდესაც ის აღმშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს და შემდეგ კი, სიბერის დროს, ის ყურადღების ღირსიც არ უნდა იყოს?

არ შეიძლება დავიწყებულ იქნას მისი ნაყოფიერი მუშაობა, რომელმაც ფეხზე დააყენა სცენა და თავისებური ელფერი მისცა მას.

ხაშურის საზოგადოებამ კარგათ იცის ყველაფერი ეს, თუმცა ამ მოხუცებული კაცის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არავინ ფიქრობს.

საჭიროა ადგილობრივმა ხელისუფლებამ, კულტგანყოფილებამ და სხვა სათანადო ორგანოებმა მიიღონ ეს მხედველობაში და აღმოუჩინონ მას დახმარება საღამოს დადგმით, რომლის მთელი შემოსავალიც უნდა გადაეცეს მას.

ეგ. ნოზაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება** წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს 2 დღის განმავლობაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში.

არსენალის რაიონი

1. ცინცაბაძე სამსონ, 2) ხანტლაძე ალექსანდრე, 3) ჩხუბიანი ალექსანდრე, 4) დუმბაძე ვლადიმერ, 5) დანელია პლატონი, 6 მიქელაძე გიორგი, 7) დოლიძე პოლიკარპე, 8) ვასილავა, 9) გიორგაძე, 10) რევია.

ჰავლაბარ-ხარფუხის რაიონი.

1) გრიგორიან გაიკი, 2) მატინიან კონსტანტინე, 3) მურადოვი ისაკი, 4) პოპოვი გაიკი, 5) სკანდაროვი მარტ, 6) ფირალოვი ალექსანდრე. 7) ბარამიძე (შრ. სახ. კომის.) 8) ნოვრუზოვი ოჰანეს 9) არაქელოვი სურენ.

თბ. კომიტ. საორგანიზაციო განყოფილების გამგე—ნ ა ზ ა რ ო ვ ი.

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება** იწვევს ხუთშაბათს. 3 აპრილს, საღამოს 6 საათზ **პარტიულ კლუბში სოფელზე კულტშეფობის საერთო საქალაქო კონფერენციას.**

დღის წესრიგი:

1) საშეფო კომისიის მუშაობის გეგმა ახლო მომავალში, 2) გლეხთა კომიტეტებისათვის დახმარების გაწევის კამპანიის შესახებ. 3) თბილისის საშეფო ბიუროს არჩევნები 4) მიმდინარე საქმეები.

საკითხების მნიშვნელოვანების გამო საშეფო კომისიების ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

თბ. კომიტეტ. სააგიტ. საპროპაგ. განყოფ. გამგე მ. ე ს ს ე ნ ი.

დღეს, ხუთშაბათს, 3 აპრილს, ცენტრალურ პარტიულ კლუბში ექიმი ვესელოვზოროვი წაიკითხავს პოპულარულ ლექციას გაახალგაზრდავების შესახებ. პრეპარატების და სურათების ჩვენებით. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

შესვლა თავისუფალია კომუნისტების ოჯახებისათვის.

კლუბის გამგეობა.

დღეს ხუთშაბათს, 3 აპრილს დილის 10 საათზე, საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის თბილისის კომიტეტის შენობაში შესდგება ლენინის სახელობის საბავშვო კომუნისტური ორგანიზაციის ქალაქის საბჭოს პლენუმის სხდომა. სავალდებულოა ყველა იმ ამხანაგების დასწრება, რომლებიც მოწვეული იყვნენ წინანდელ კრებაზე.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე: ი. რ ა ხ მ ა ნ ი.

— ხუთშაბათს, 3 აპრილს, საღამოს 5 საათზე საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებაში მოწვეულია

კორესპონდენტ ქალების თათბირი

განსახილველ საკითხების მნიშვნელობის გამო ყველა კორესპონდენტ ქალების დასწრება სავალდებულოა.

ტფილ. კომიტეტის ქალთა განყოფ. გამგე კ ი დ ა ი შ ი.

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება**, ხუთშაბათს, 3 აპრილს საღამოს 6 საათზე პარტიული კლუბის ბინაზე (კირკის ქ. მუშკოოპის შენობა) იწვევს სოფელზე კულტშეფობის [illegible] კომისიების საერთო საქალაქო კონფერენციას.

დღის წესრიგი:

1. საშეფო კომისიების მუშაობის გეგმის შესახებ.
2. გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტების შესახებ.
3. ტფილისის შეფბიუროს არჩევნები.

განსახილველ საკითხების მნიშვნელობის გამო, საშეფო კომისიების ყველა წევრის დასწრება სავალდებულოა.

ტფილისის კომიტეტის სააგ.-საპრ. განყ. გამგე მ. ე ს ს ე ნ ი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. აგრაფინა ქავთარიძე-მხეიძეს გამოცხადდეს ხუთშაბათს, 3 აპრილს დილის 10 საათიდან დღის 3 საათამდი რაიკომის აღრიცხვა განყოფილებაში.

საორგანიზაციო განყოფილების გამგე მ ა შ კ ე ვ ი ჩ ი.

პარტიული კლუბში.

— **ხუთშაბათს, სამ აპრილს**—ექიმ ვესელოვზოროვის პოპულიარული ლექცია: „გაახალგაზრდავება" პრეპარატისა და სურათის ჩვენებით. დასაწყისი 8 ნახ. საათზე. თავისუფალი შესვლა კომუნისტების ოჯახობისათვის.

— ფრანგული ენის შემსწავლელი წრის მეცადინეობა (პირველი და მეორე ჯგუფი) დასაწყის 7 საათზე.

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის საშეფო კომისიების სხდომა (მცირე დარბაზში), საღამოს 6 საათზე.

შაბათს, 4 აპრილს—ლენინიზმის შემსწავლელი წრის მეცადინეობა (მცირე დარბაზში), საღამოს 6 საათზე.

კვირას 5 აპრილს—გ გორბაჩოვის ლექცია: „რენტგენის სხივები და მათი გამოყენება მეცნიერებაში და ტეხნიკაში". დასაწყისი საღ. 8 საათზე. შესვლა თავისუფალია კომუნისტების ოჯახებისათვის.

მიიღება ჩაწერა ლენინიზმის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრეში და ფილოსოფიურ წრეში.

კლუბის გამგეობა.

პროფესიონალური

განათლების მუშაკთა სახლში.

ხუთშაბათს, 3 აპრილი, საღ. 7 საათ. სომხური ენის მასწავლებელთა წრის სხდომა.

ამავე დღეს საღ. 8 საათ. ამხ. დედურავას მორიგი ლექცია ისტორიულ მატერიალიზმზე.

ამავე დღეს საღ. 7 საათ. მუსიკა-გალობის მასწავლებელთა წრის სხდომა.

ხუთშაბათს, 3 აპრილი, საღ. 6 ნახ. საათ. მხატვრული კითხვის წრე.

პარასკევს 4 აპრ. საღ. 7 საათ. მათემატიკის წრეში სომხურ ენაზე მოხსენება.

ამავე დღეს დაიწყება მეცადინეობა მცენარეთა შესახებ პროფ. შიშვინის ხელმძღვანელობით.

განცხადებები

ვ. ი. ლენინის სახელობ.
საოპერო თეატრი

3 აპრილს—წარმოდგენა მუშათა უბნებში
4 აპრილს სილვა
5 აპრილს—წარმოდგენა პროფკავშირების წევრთათვის
6 აპრილს ქ-ნი ბატერფლაი

1—1

ამხ. ფილიპე მახარაძის
თხზულებათა კრებული
ტომი I.

უკვე გამოვიდა. წიგნი მოზრდილი ფორმატისაა, შეიცავს 400-მდე გვერდს და ღირს 2 მან. 50 კაპ.

სახელგამი წიგნს ამ დღეებში დაუგზავნის პროვინციის განყოფილებებს. თბილისში წიგნის შეძენა შეიძლება საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის მაღაზიაში (რუსთაველის პროსპ.). 989—3—3

დღეს 3 აპრილს
იხსნება
ამიერ-კავკასიის ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკი
„ზაკსელბანკ"

ძირითადი კაპიტალი 5.000.000 მან. ოქროთი.
ბანკის გამგეობა: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 5

დამაარსებელნი: ა. კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი, სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები და აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრები.

აწარმოებს წესდებით ნებადართულ ოპერაციებს

ბანკის ოპერაციები დილის 9 საათ. დღის 3 საათამდი.
1—1 992 გამგეობა

თბილისის მე-6 უბნის სახალხო სასამართლო

იწვევს ა. | წ. 10 აპრილისათვის, სხდომაზე როგორც მოპასუხეებს: სამუელ იგივე შამილ ანუკა ოღლის, აბრამ ტერ-პოგოსოვს და სიმონ იაკუბოღლის ასკერ მარტია ოღლის ძიების გამო. თუ ნაჩვენები პირნი დანიშნულ დროზე არ გამოცხადდებიან, განაჩენი გამოტანილი იქნება მათ დაუსწრებლად. 1—1

დაიკარგა პირადი წიგნაკი № 921. მოცემული მე-8-ე სამილიციო რაიონთან არსებულ სამხედრო მაგიდის გამგის მიერ ხანიახკი სუხოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. უფ.—1—1

დაიკარგა პირადი წიგნაკი № 76 გაცემული მე-13 უბ. სამხედრო მაგიდის გამგის მიერ 1923 წ. 7 მარიამობისთვეს გიორგის ძე ტარიელაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 774—1—1

დაიკარგა მოწმობა № 18698 ალექსანდრე სარქისისძე პაპულაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 780—1—1

დაიკარგა სამხედრო კომისარიატიდან მოცემული სამხედრო ბეგარის მოწმობა გიორგი გედეონის-ძე გოგოლაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 781—1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკის" სახ. წულუკიძის ქუჩა № 4.